პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი, 9 თებერვალი, 1945 წ. № 28 (7243). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ხალხი მეომარი, ხალხი მშენებელი. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, კრემლი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშაკებისადმი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
სამი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 7 და 8 თებერვლის ოპერატიული ცნობები (1-ლი და მე-2 გვერდი).
მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი. ამხ. კალინინის სიტყვა (მე-2 გვერდი).
ვ. ბოგუა — უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის (მე-2 გვერდი).
აკაკი წერეთელი (1915-1945). (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-2 და მე-4 გვერდი).

ხალხი მეომარი, ხალხი მშენებელი

რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა სამშობლომ იდღესასწაულა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების დამთავრების მეორე წლისთავი. თავისი ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი ხალხი შეხვდა იმ მომენტში, როცა ჰიტლერულ გერმანიასთან ომი საბოლოო ფაზაში შევიდა და ახლოვდება მტრის განადგურების დამთავრება. სტალინგრადის დიდება თან ახლავს ჩვენს არმიებს, რომლებიც ძლევამოსილად მიემართებიან გერმანიის მიწა-წყალზე. დღეს ჩვენს დივიზიებს რამდენიმე ათეული კილომეტრი აშორებს ბერლინს, რომელიც გახვეულია ბომბების ცეცხლში. სტალინგრადიდან ბერლინის შორეულ მისადგომებამდე, ვოლგიდან ოდერამდე ძევს წითელი არმიის დიდების გზა. სტალინგრადი, ამხანაგ სტალინის სიტყვით, გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადი იმ გადამწყვეტ გამარჯვებათა ბრწყინვალე განთიადი და მომასწავებელი იყო, რომლებსაც წითელი არმია დიდი სტალინის წინამძღოლობით აღწევს.

ორი წლის წინათ სტალინგრადთან ბრძოლაში ჩვენმა ხალხმა თავი გამოიჩინა როგორც ძლიერმა მეომარმა ხალხმა. სტალინგრადს თვალყურს ადევნებდა მთელი მსოფლიო და სტალინგრადიდან გაგზავნილი სამხედრო ცნობები ხატავდნენ იმ უშიშრობის, მამაცობისა და გმირობის სურათებს, რასაც საბჭოთა ადამიანები მტრის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლებში იჩენდნენ. დღეს სტალინგრადიდან ახალი, სხვა ცნობები მოდის. დღეს სტალინგრადის მუშები და მშენებლები აუწყებენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს მათ მიერ შრომის ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებას. აღდგენილია სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა! ნანგრევებისა და ფერფლისაგან ასდგა და სიცოცხლეს დაუბრუნდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშო—ჩვენი ქვეყნის საყვარელი ქმნილება და სიამაყე.

1930 წლის ზაფხულში ვოლგის ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ცარიცინის ურყევი თავდაცვა იჭედებოდა, აგებულ იქნა ინდუსტრიალიზაციის სიმაგრე—სატრაქტორო ქარხანა. ამ ქარხნის პროდუქციას ამხანაგმა სტალინმა მაშინ უწოდა ყუმბარები, რომლებიც აფეთქებენ ძველ სამყაროს და გზას უკაფავენ ახალ, სოციალისტურ წყობილებას სოფლად. სტალინგრადი გახდა სოციალისტური მშენებლობის სიმბოლო, გმირული ტემპების სიმბოლო, მსოფლიო ტექნიკის მაღლობის დაუფლებაში ჩვენი ძალების გამოცდა.

გერმანელებს შეეძლოთ დაენგრიათ სტალინგრადი და მათ დაანგრიეს იგი. გერმანელებს შეეძლოთ ნანგრევებად ექციათ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და მათ გააკეთეს ეს შავბნელი საქმე. მაგრამ გერმანელებმა ვერ შესძლეს გაეტეხათ სტალინგრადელები, როგორც ვერ შესძლეს გაეტეხათ ჩვენი ხალხი. როგორც ორი წლის წინათ მებრძოლ სტალინგრადს დაეხმარა მთელი ჩვენი ქვეყანა, ისევე შეუდგა ეს ქვეყანა მის აღდგენას სტალინგრადის გამარჯვების შემდეგ. დღეს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა აწვდის წითელ არმიას დიზელებს ტანკებისათვის და მძლავრი მუხლუხა ტრაქტორების ეშელონებს გზავნის საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ყანებში.

მეომარმა ხალხმა ერთხელ კიდევ ისახელა თავი სტალინგრადში როგორც მშენებელმა ხალხმა. ისევე როგორც სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ამუშავების წლებში ეს ქარხანა ახალი ტექნიკის სკოლა იყო ჩვენი ქვეყნისათვის, ახლაც, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღდგენის დღეებში, ეს ქარხანა აღდგენის სკოლაა ჩვენი ქვეყნისათვის. 15 წლის წინათ ჩვენ ვოლგაზე მოვიგეთ ბრძოლა ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპებისათვის. სტალინგრადელთა პატაკი ამხანაგ სტალინისადმი ნათლად მოწმობს, რომ დღეს ვოლგაზე ჩვენ ვიგებთ ბრძოლას მტრის მიერ დანგრეული მეურნეობის სწრაფი აღდგენისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი სამეურნეო აღმავლობისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

არა გვგონია, რომ თანამედროვე მრეწველობის ისტორიაში მშენებლები ოდესმე წააწყდომოდნენ ისეთ არაჩვეულებრივ სიძნელეებს, როგორსაც ისინი შეხვდნენ სტალინგრადის ქარხნის აღდგენისას. აქ არ გადარჩენილა არც ერთი საამქრო, არც ერთი შენობა. ათასობით ნაღმი სიკვდილის საფრთხეს ქმნიდა ყოველ ნაბიჯზე. საამშენებლო მეცნიერებისათვის უცნობი იყო მეთოდები ისეთი სამრეწველო გიგანტის აღდგენისა, რომლის თვითეული აგურიც მძიმე სისხლისმღვრელ შეტაკებათა ობიექტი ყოფილიყო. მაგრამ ის, რაც უცნობი იყო საამშენებლო მეცნიერებისათვის, შესძლო მშენებელთა სტალინურმა სკოლამ. მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის, სტალინური ხუთწლედების მანძილზე ბოლშევიკური ინიციატივიანობისა და თაოსნობის სულისკვეთებით აღზრდილმა საბჭოთა მელითონეებმა და მშენებლებმა უმოკლეს ვადაში აღორძინეს ქარხანა, და 1944 წლის 17 ივნისს, მისი თოთხმეტი წლისთავის დღეს, მთავარი კონვეიერიდან კვლავ ჩამოვიდა „სტზ" ტრაქტორი.

სტალინგრადის გამოცდილება, მისი ქარხნების—სატრაქტორო, მეტალურგიული — „კრასნი ოქტიაბრის", საარტილერიო „ბარიკადის" და სხვათა აღდგენის გამოცდილება წარმატებით იქნა გამოყენებული და კიდევ უფრო გამდიდრდა სხვა ქალაქთა და საწარმოთა აღდგენისას, რომლებიც გერმანელი ფაშისტი ბანდიტების მიერ იყო დანგრეული.

სწრაფი ტემპებით ხდება ქვანახშირიანი და მეტალურგიული დონბასის, მადნიანი და მეტალურგიული დნეპრისპირეთის აღდგენა. აქ არის დიდი სიძნელეები, ღრმა ჭრილობები, რაც ჩვენს მეურნეობას საზიზღარმა გერმანელმა დამპყრობლებმა მიაყენეს. მაგრამ ამ სიძნელეებს სძლევენ საბჭოთა ადამიანები, და ზედიზედ დგებიან მწყობრში ქვანახშირისა და რკინის მადნის შახტები, ბრძმედები, მარტენები და საგლინავი დაზგები.

ხდება სამანქანათმშენებლო მრეწველობის აღდგენა ხარკოვში, როსტოვში, კრამატორსკში, ოდესაში, დნეპროპეტროვსკსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში, რომლებიც განთავისუფლებულია მტრისაგან.

ჭრილობებს იშუშებს და წარსულ მშვენებასა და სიძლიერეს, წარსულ საწარმოო დიდებას იბრუნებს ლენინის სახელოვანი ქალაქი. ლენინგრადის მშრომელთა საუკეთესო ტრადიციებზე იზრდებიან მუშაკთა ახალი კადრები. საამქროები და ქარხნები ზედიზედ იძლევიან პროდუქციას, და დღეს ლენინის ქალაქი თავისი ჭარბაზნებითა და ყუმბარებით, ნაღმსატყორცნებითა და ავტომატებით აქტიურად მონაწილეობს გერმანიის წინააღმდეგ შეტევაში.

ლენინგრადელთა წერილში ამხანაგ სტალინისადმი, რაც დღეს ქვეყნდება, ნათქვამია:

„გავიმარჯვეთ რა სასტიკ ბრძოლაში, ჩვენ პირობა მოგეცით თქვენ, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა აღვადგინოთ ლენინგრადი, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი.

ლენინგრადისათვის ბრძოლებში გამოვლინებულ პატრიოტულ პათოსს ქალაქის მშრომელები ახლა იყენებენ შემოქმედებითს შრომაში მრეწველობის, კულტურისა და ქალაქის მეურნეობის ასაღდგენად. ამით ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას თქვენს წინაშე, საბჭოთა სამშობლოს და ძლევამოსილი წითელი არმიის წინაშე".

სტალინგრადიდან ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებამდე წითელმა არმიამ გაიარა გერმანელების მიერ ველური გაბოროტებით გათელილი, გადაბუგული, დანგრეული ადგილები. საშინელ გულისტკივილს განიცდიდნენ ჩვენი მეომრები, როცა ხედავდნენ იმ უზომო მწუხარებას, რაც გერმანელმა ავაზაკებმა ჩვენს ხალხს მიაყენეს. სტალინგრადელთა პატაკი ამხანაგ სტალინისადმი, ლენინგრადელთა წერილი, ცნობები აღდგენილი ქარხნებისა და შახტების ამუშავების შესახებ სიხარულით აღავსებს ჩვენს არმიას. გამარჯვების შემდეგ მეომარი დაბრუნდება არა მკვდარ უდაბნოში, რადაც გერმანელებს უნდოდათ გადაექციათ ჩვენი სამშობლო. მეომარი დაბრუნდება შინ, და თავის გარშემო დაინახავს გაჩაღებულ მშენებლობას, რაც ერთი დღითაც არ შეუჩერებია ომს. მტრისაგან განთავისუფლებულ ადგილებში იგი დაინახავს მჩქეფარე სიცოცხლეს, აღორძინების პათოსს.

დღეს დიდი სიხარულით წაიკითხავენ ფრონტის მებრძოლები და ზურგის მშრომელები ამხანაგ სტალინის მილოცვას სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და ტრაქტორმშენის ტრესტის მუშაკებისადმი. ჩვენი ქვეყანა სრული კმაყოფილებით მიიღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სამამულო ომის დღეებში სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ. სამამულო ომის ორდენით ქარხნის დაჯილდოება ერთხელ კიდევ ავლენს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენი სახელმწიფო ზურგის მუშაკთა დამსახურებას, როცა ქარხნებში მათს მუშაობას ათანაბრებს ფრონტულ მუშაობასთან. ამ ჯილდოს მრეწველობის ყველა მუშაკი, დანგრეული მეურნეობის ყველა აღმდგენელი მიიღებს, როგორც ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებას ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ, აღდგენითი სამუშაოს ტემპების შემდგომი გადიდებისაკენ. სტალინგრადის ქარხნის დაჯილდოება ერთხელ კიდევ ეტყვის წითელი არმიის მეომრებს, რომლებიც ოდერზე იბრძვიან: თქვენი ზურგი მტკიცეა. თქვენთვის უზრუნველყოფილია სრული დახმარება. ურტყით გერმანელ დამპყრობლებს მათს სრულ მოსპობამდე!

როცა ჩვენ გერმანელებს ვანადგურებდით სტალინგრადთან, მათ კიდევ ჰქონდათ ხელში ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1943 წლის ზამთარში რომ დამარცხდნენ, ჰიტლერელები კიდევ იმედოვნებდნენ, რომ შეინარჩუნებდნენ ნაძარცვს და რევანშზეც კი ოცნებობდნენ. მაგრამ დიდი ხანია გაცამტვერდა გერმანული იმპერიალიზმის ავაზაკური გეგმები! წითელმა არმიამ თავის ახალ დიდ შეტევაში გადააჭარბა ყველაფერს, რაც მის მიერ მიღწეული იყო ყველა წარსულ ბრწყინვალე ლაშქრობაში, რომლებმაც განცვიფრებაში მოიყვანა მსოფლიო. წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავრებს ნაცისტური გერმანიის განადგურებას!

„პრავდის" 8 თებერვლის მოწინავე

თათბირი საკოლმეურნეო მეცხოველეობის საკითხებზე

7 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული თათბირი საკოლმეურნეო მეცხოველეობის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სამიწათმოქმედო ორგანოების წარმომადგენლები, მეცნიერები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ჩეკმენევმა გააკეთა მოხსენება მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და 1945 წელს მეცხოველეობისა და მეცხენეობის განვითარების დარგში სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანების შესახებ. მან მოიყვანა მთელი რიგი ცნობები, რომლებიც მოწმობენ გასულ წელს კოლმეურნეობათა მიერ მოპოვებულ წარმატებებს. საბჭოთა გლეხობის მაღალი პატრიოტიზმის მეოხებით ბევრი რამ უკვე გაკეთებულია მეცხოველეობის აღდგენისათვის განთავისუფლებულ რაიონებშიც.

1945 წლის გეგმა ითვალისწინებს ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის შემდგომ ზრდას და საკვები ბაზის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მომხსენებელმა წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ამ გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე ყაზახეთის სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბოგდანოვის, უკრაინის სს რესპუბლიკის მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ამოლკის და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ეფენდიევის თანამოხსენებანი.

მოხსენებათა გამო გაცხოველებული კამათი გაიშალა. (საქინფო).

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მეორე წლისთავის წინ, განადგურებისა, რაც უდიდესი იყო ომების ისტორიაში, თქვენ, ამ დიადი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, სულით და გულით გიძღვნიან მხურვალე სალამს და გისურვებენ ჯანმრთელობას სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და სტალინგრადის ტრაქტორმშენის მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები.

გერმანელმა დამპყრობლებმა, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ მძვინვარე ბოროტებით შეპყრობილებმა, რომლებიც უძლურნი იყვნენ გაეტეხათ სტალინგრადის დამცველთა სიმტკიცე, ბარბაროსულად დაანგრიეს ქალაქი და ჩვენი ქვეყნის სიამაყე — პირველი ხუთწლედის პირმშო — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა.

მთელი არ დარჩენილა არც ერთი საამქრო, სახლი, სკოლა, არც ერთი შენობა, გარშემო იყო ნანგრევებისა და აგურის, დამსხვრეული რკინის, ბეტონის და მტრის განადგურებული ტექნიკის გროვები.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გაისმა სტალინგრადის დიადი ბრძოლის ზარბაზნების გრიალი, რითაც დამთავრდა წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება, საბჭოთა ხალხის ნებასურვილით, თქვენი მითითებით, იოსებ ბესარიონის-ძევ, გადაწყდა გაგვეცოცხლებინა და ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღგვედგინა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა. განსაკუთრებით ძნელ პირობებში, მთლიან ნანგრევებს შორის, უბინოდ, უელექტროენერგიოდ, უწყლოდ, დავიწყეთ ჩვენი მუშაობა.

მაგრამ ჩვენ მარტონი არ ვიყავით. ჩვენს დასახმარებლად, ისევე, როგორც სტალინგრადის დაცვის დღეებში, მოვიდა მთელი ჩვენი ქვეყანა, და დღეს მოხარული ვართ მოგახსენოთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა კვლავ ჩადგა ჩვენი ქვეყნის მოქმედ საწარმოთა მწყობრში.

სატრაქტორო ქარხნისა და ტრაქტორმშენის კოლექტივთა შეუპოვარი შრომის შედეგად უკვე აღდგენილია 176 ათასი კვ. მეტრი საწარმოო ფართობი.

აღდგენილია ქარხნის გული — თბოელექტროცენტრალი. მთელ ქარხანაში კვლავ გაისმის სამჭედლო საამქროს მძლავრი უროების ხმაური.

აღდგენილია 11 მძლავრი ელექტროფოლადშემდნობელი ღუმელი და წყალსატუმბავი სადგური.

აღდგენილია მექანიკური საამქროები, რომლებშიც დღეს უკვე ათასობით დაზგა მუშაობს.

ქარხნის აღდგენაში დიდი დახმარება გაგვიწიეს მშენებლობის სახალხო კომისარიატის სპეციალიზებულმა ორგანიზაციებმა — სტალკონსტრუქციამ, სოიუზსტანტეხმონტაჟმა, ცენტროელექტრომონტაჟმა, სოიუზტეპლოსტროიმ, აგრეთვე ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის, დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატისა და მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის სამონტაჟო ორგანიზაციებმა.

ქარხანასთან ერთად სწარმოებს ჩვენი საქარხნო დაბის აღდგენაც. აღდგენილია პურის ქარხანა, ორი სკოლა, საავადმყოფო, აბანოები, საცხოვრებელი სახლები. სულ აღდგენილია 67 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ჩვენ გვაკლდა ქარხნის რთული მოწყობილობის მცოდნე კვალიფიციური კადრები, არ იყვნენ დურგლები, კალატოზები, მებათქაშეები.

ჩვენ დაგვეხმარა ლენინური კომკავშირი. მისი მოწოდებით ათასობით კომკავშირელი, ჭაბუკი და ქალიშვილი ჩამოვიდა სტალინგრადში და აქ, დანგრეული ქალაქის მძიმე პირობებში, მიუხედავად გაჭირვებისა და სიძნელეებისა, ისინი თავდადებულად მუშაობდნენ ქარხნის აღდგენისათვის.

გუშინდელი მოსწავლეები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები ხდებოდნენ კვალიფიციურ მშენებლებად, მეღუმელეებად, ზეინკლებად, მედაზგეებად. ამ ხნის განმავლობაში მომზადებულია 8.625 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა და 3.600 კვალიფიციური მშენებელი.

უკვე 1943 წელს ქარხნის კოლექტივმა შეაკეთა და ფრონტს გადასცა ტანკები 4 სატანკო ბრიგადისათვის და დიზელები 5 ბრიგადისათვის.

1944 წელს ჩვენმა ქარხანამ დაიწყო წარმოება დიზელებისა ტანკებისათვის და ტრაქტორებისა და დიზელების სათადარიგო ნაწილებისა. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ უკვე მისცა ფრონტს 600-ზე მეტი ახალი დიზელმოტორი.

ქარხნისა და ტრაქტორმშენის კოლექტივები უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგნენ თქვენი დავალების შესრულებას ტრაქტორების წარმოების ასაღდგენად და დღეს მოხარული ვართ მოგახსენოთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ თქვენი ეს დავალებაც ვადაზე შევასრულეთ.

1944 წლის ივლისიდან დაიწყო ტრაქტორების სერიული წარმოება. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის დიდი კონვეიერიდან კვლავ წავიდნენ „სტზ" მარკიანი ტრაქტორები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

უკვე დამზადებულია 500-ზე მეტი მუხლუხა ტრაქტორი.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და სტალინგრადის ტრაქტორმშენის კოლექტივები გააორკეცებენ და გაასამკეცებენ თავიანთ ღონისძიებებს, რათა უახლოეს დროში მთლიანად დაამთავრონ სატრაქტორო ქარხნის აღდგენა, აითვისონ ყველა სიმძლავრე და მით უზრუნველჰყონ ტრაქტორების ნაკადური გამოშვება.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ 1945 წელს ავითვისებთ ტრაქტორების დიზელმოტორების გამოშვებას და შევუდგებით „სტზ" მარკის დიზელიანი ახალი ტრაქტორის გამოშვებას.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ფრონტზე და ზურგში გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი **პროსვიროვი**
მშენებლობის სახალხო კომისარიატის ტრაქტორმშენის უფროსი **სალტიკოვსკი**
ქარხნის მთავარი ინჟინერი **მაკოედი**
ტრაქტორმშენის მთავარი ინჟინერი **ბუკშტეინი**
საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანი **ინოჩკინი**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ქარხანაში **შაპოშნიკოვი**
ტრაქტორმშენის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი **სტეპჩიკოვი**
ქარხკომის თავმჯდომარე **სკაკუნოვი**
სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **ტრეკოვი**
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი ქარხანაში **სოლოგუბოვი**
ტრაქტორმშენის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი **კულიკოვი**

სტალინგრადი, სატრაქტორო ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხანაგ **პროსვიროვს**
ტრაქტორმშენის უფროსს ამხანაგ **სალტიკოვსკის**
ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხანაგ **მაკოედს**
ტრაქტორმშენის მთავარ ინჟინერს ამხანაგ **ბუკშტეინს**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ქარხანაში ამხანაგ **შაპოშნიკოვს**
ტრაქტორმშენის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხანაგ **სტეპჩიკოვს**
საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანს ამხანაგ **ინოჩკინს**
ქარხკომის თავმჯდომარეს ამხანაგ **სკაკუნოვს**
სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ **ტრეკოვს**
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ქარხანაში ამხანაგ **სოლოგუბოვს**
ტრაქტორმშენის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხანაგ **კულიკოვს**

ვულოცავ სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და მშენებლობის სახალხო კომისარიატის ტრესტ „ტრაქტორმშენის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივებს ქარხნის აღდგენას და პირველი 500 ცალი მუხლუხა ტრაქტორისა და სატანკო დიზელების გამოშვებას ომიანობის დროის ძნელ პირობებში.

დარწმუნებული ვარ, რომ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა და ტრესტ „ტრაქტორმშენის" მუშაკთა კოლექტივები 1945 წელს დაამთავრებენ ქარხნის სრულ აღდგენას და უზრუნველჰყოფენ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მრავალ ათასობით ტრაქტორისა და ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისათვის დიზელების გამოშვებას.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ომის დღეებში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა დაჯილდოებულ იქნას სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**
მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 7 თებერვალი.

სამი მოკავშირე სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის პრემიერი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, თავიანთი შტაბების უფროსების, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამი მინისტრისა და სხვა მრჩეველთა თანხლებით, ამჟამად თათბირობენ შავი ზღვის რაიონში.

მათი მიზანია საერთო მტრის განადგურების დამთავრებისა და თავიანთ მოკავშირეებთან ერთად ხანგრძლივი მშვიდობიანობის მტკიცე საფუძვლების დაწესების გეგმების კოორდინირება.

თათბირები განუწყვეტლივ სწარმოებს.

კონფერენცია სამხედრო მოლაპარაკებით დაიწყო. განხილულ იქნა ევროპის ყველა ფრონტზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და შესდგა უაღრესად სრული ინფორმაციის ურთიერთ მიწოდება. არსებობს სრული თანხმობა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის საბოლოო ფაზაში ერთობლივი სამხედრო ოპერაციების შესახებ. სამი მთავრობის სამხედრო შტაბები ამჟამად ერთობლივად იმუშავებენ დაწვრილებით გეგმებს.

დაიწყო აგრეთვე მოლაპარაკება მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ეს მოლაპარაკება ვრცელდება იმ საერთო გეგმების შემუშავებაზე, რომლებიც ეხება გერმანიის ოკუპაციასა და მისდამი კონტროლს, განთავისუფლებული ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებზე და მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად მუდმივი საერთაშორისო ორგანიზაციის უსწრაფესად შექმნის წინადადებებზე.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებული იქნება კომუნიკე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 თებერვლის ოპერატიული ცნობა

7 თებერვლის განმავლობაში **კენიგსბერგის** სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ლიპნიკენი, ზოლაუ, პოსმალენი, ლაიდტკაიმი, ლამპაში, პოშლოშენი.** 5 და 6 თებერვალს **კენიგსბერგის** რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2.260 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ **კიუსტრინის (ოდერზე)** ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგისაგან მდინარე **ოდერის** აღმოსავლეთი ნაპირის გასაწმენდად და ამასთან დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ცეკერიკი, ალტ ლიტცეგერიკე, გიუსტებიზე, ჰელზე, კლევიტცი, ალტ დრევიტცი, ტრეტინი, კუნერსდორფი, აურიტცი.** 5 და 6 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში ტყვედ წამოვიყვანეთ 4 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და აეროდრომებზე ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის 69 თვითმფრინავი.

ბრესლაუს (ბრესლავლი) სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად **ოდერის** დასავლეთ ნაპირზე და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მერცდორფი, ვიურბენი, გროსბურგი, ლიხტენბერგი, დოიჩ-ლაიკე, მიხელაუ, გორკენაინი, ვოლფსბრუნდი, ეიზენაუ, პრეისდორფი.** 5 და 6 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში ტყვედ წამოვიყვანეთ 4.200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და აეროდრომზე ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის 28 თვითმფრინავი.

ბუდაპეშტში გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად, რომელთა მსვლელობაშიც ჩვენმა ჯარებმა 10 უბანი დაიკავეს. 5 და 6 თებერვლის ბრძოლებში ქალაქის დასავლეთ ნაწილში (**ბუდა**) ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 5.600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

6 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებულ და მოსპობილ იქნა გერმანელთა 140 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 26 თვითმფრინავი.

შეტევითი ბრძოლების განმავლობაში—ამა წლის 12 იანვრიდან 4 თებერვლამდე—ფრონტის ცენტრალურ უბანზე ჩვენმა ჯარებმა **ტყვედ წამოიყვანეს:** გერმანელთა 88-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი **რიტბერგი,** გერმანელთა 304-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-მაიორი **ლისი,** გერმანელთა 433-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი **ლიუბე,** გერმანელთა მე-17 სატანკო დივიზიის მეთაური—პოლკოვნიკი **ბრუქსი,** გერმანელთა მე-10 მოტორიზებული დივიზიის მეთაური—პოლკოვნიკი **ვიალი,** გერმანელთა 42-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი—პოლკოვნიკი **დრაბიხვეხტერი,** გერმანელთა 42-ე საარმიო კორპუსის არტილერიის სარდალი—პოლკოვნიკი **როზენი,** ავიაციის სამინისტროს განყოფილების უფროსი—ავიაციის გენერალი **მანკე,** 39-ე შრომითი სამხედრო ოლქის უფროსი—გენერალი **ვესემანი.**

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ნაპოვნია გერმანელთა 42-ე საარმიო კორპუსის უფროსის—ქვეითი ჯარის გენერალ **რეკნაგელის,** გერმანელთა 56-ე სატანკო კორპუსის მეთაურის—ქვეითი ჯარის გენერალ **ბლოკის,** გერმანელთა 69-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-ლეიტენანტ **რაინის,** გერმანელთა 72-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-მაიორ **ჰონის,** გერმანელთა 78-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-მაიორ **ბირშფელდის,** გერმანელთა 214-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-ლეიტენანტ **კირხპაის,** გერმანელთა 291-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-მაიორ **ფინგერის,** გერმანელთა 342-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის—გენერალ-ლეიტენანტ **ნიკელის** გვამები.

8 თებერვლის ოპერატიული ცნობა

8 თებერვლის განმავლობაში **აღმოსავლეთ პრუსიაში კენიგსბერგის** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი **კროიცბურგი,** აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები **პორშკაიმი, ზეეზენი, ბარტელსდორფი, ვორკაიმი, რამერსვალდე, რაუნაუ, გიურგერვალდე, ფრაუენდორფი, მილენბერგი, ოპენი.**

ქალაქ **შტარგარდის** სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა გერმანული პომერანიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **რეეტცი** და **ბერნშტაინი,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბერკენბრიუგე, ლიგენოვი, რიტციგი, ზამენტინი, გოტბერგი.** 7 თებერვალს ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრესლაუს სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდებოდა ბრძოლები პლაცდარმის გასაფართოებლად **ოდერის** დასავლეთ ნაპირზე. ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები **კურჩი, კოპერნი, ლორცენდორფი, მეჰაიცი, კეპენდორფი, ჰერმსდორფი, მარიენაუ, ვალდაუ, ტიფენზე, გროს-ზარნე.**

კრაკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ზაძელე, ლენკავიცა, რიხვალდი, მოშჩანიცა, ელესნია, ფშიგორუვი.**

ბუდაპეშტში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქის დასავლეთ ნაწილში (**ბუდაში**) მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად და რამდენიმე უბანი დაიკავეს. 7 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 8.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

7 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 146 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი.

⁂

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ კენიგსბერგის სამხრეთით, ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ კროიცბურგისათვის—გერმანელთა თავდაცვის მძლავრი კვანძისათვის მდინარე პოსმორთან. მტერმა რეზერვები მოიშველია და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. საბჭოთა ნაწილები მდინარე პოსმორზე გადავიდნენ და იერიში მიიტანეს ჰიტლერელებზე. დღეს ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი და დაიკავეს ქალაქი კროიცბურგი. მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 4.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

ქალაქ შტარგარდის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ქვეითებმა, არტილერიის დახმარებით, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და ქალაქ რეეტცს მიადგნენ. ჩვენი ქვეგანაყოფები გადავიდნენ მდინარეზე, რომელიც ქალაქის დასავლეთ გარეუბანს ჩაუდის, და გარს შემოერტყნენ მტრის გარნიზონს. გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი რეეტცი—გზატკეცილების დიდი მნიშვნელოვანი კვანძი, რომელიც 12 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ არნსვალდის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სხვა რაიონში ნ საკავალერიო შენაერთის ნაწილები გარს შემოერტყნენ და მოსპეს მოწინააღმდეგის დაჯგუფება, რომელიც შესდგებოდა სს-ელთა ქვეითი და მცველი ქვეგანაყოფებისაგან. ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვე, ავტომანქანა და საჭურველი.

ერთი დღის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა სხვადასხვა უბანზე დააზიანეს და მოსპეს მოწინააღმდეგის 84 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საბჭოთა მეზენიტეებმა მტრის ავიაციის იერიშების მოგერიებისას გერმანელთა 16 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ქალაქ ბრესლაუს (ბრესლავლის) სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ნაწილების წინსვლა და მრავალი კონტრიერიში მოჰქონდათ. ჩვენი ჯარები სძლევდნენ ჰიტლერელთა შეუპოვარ წინააღმდეგობას და მტკიცედ განაგრძობდნენ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

წინსელს. მოწინააღმდეგე განდევნილია სოფელ ლორცენდორფიდან, რომელიც ქალაქ შტრელენიდან 6 კილომეტრზე მდებარეობს. დაკავებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ტყვედ წამოყვანილია 320 გერმანელი.

ოდერის გაღმა პლაცდარმის გასაფართოებლად წარმოებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრები მამაცობასა და გმირობას იჩენენ. ტანკების ჯგუფმა კაპიტან პლაქსინის მეთაურობით სწრაფად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებულ პოზიციებზე. ჩვენმა ტანკისტებმა გაჟლიტეს ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი და მოსპეს 15 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი. ხელთ ვიგდეთ 50 ტყვე. ლეიტენანტ ფროლოვის ტანკის ეკიპაჟი წინ გაიჭრა, ცეცხლითა და მუხლუხებით მოსპო გერმანელთა ალალი და მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი. უფროს ლეიტენანტ გრინის თვითმავალი ქვემეხის ეკიპაჟმა დაამსხვრია გერმანელთა 4 ჯავშანტრანსპორტიორი და თვითმავალი ქვემეხი. ერთ ბრძოლაში მეტყვიამფრქვევემ სერჟანტმა კუზმენკომ 30 გერმანელი მოსპო. ეფრეიტორმა მელნიციძემ ტანკსაწინააღმდეგო თოფით დაზიანა მსუბუქი მანქანა და მოჰკლა გერმანელი ოფიცერი, რომელიც ცდილობდა გაქცევით ეშველა თავისათვის.

* * *

ქალაქ კრაკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. სოფლებში ლუკოვიცასა და მოშჩანიცაში გამაგრებული მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჩვენმა გვარდიელებმა მთების კალთებით შემოუარეს ამ დასაყრდენ პუნქტებს და სწრაფი საფლანგო დარტყმით გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონები. ჩვენმა ჯარებმა ბესკიდ მალის მთაგრეხილის სამხრეთი კალთებით წინ წაიწიეს დასავლეთისაკენ და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი ზაძელე. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში საბჭოთა მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს 170 გერმანელი, ხელთ იგდეს 26 ქვემეხი და სხვა დავლა.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 42-ე საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსმა პოლკოვნიკმა ოსკარ როზენმა განაცხადა: „როდესაც რუსებმა შემოტევა დაიწყეს, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მდგომარეობა მალე იქნებოდა აღდგენილი. რამდენადაც ვიცი, ჩვენი სარდლობის მიერ დასახული იყო ენერგიული კონტრღონისძიებანი, რომლებიც ხანგრძლივ და აქტიურ თავდაცვას ითვალისწინებდნენ. გერმანიის სარდლობამ 24-ე სატანკო კორპუსს დააკისრა ამოცანა შეეჩერებინა წითელი არმიის შეტევა ჩვენს უბანზე. მაგრამ პირველმავე ბრძოლებმა დაგვანახვეს, რომ ეს გეგმები ქვიშაზე იყო აგებული. რუსებმა მძლავრი დარტყმებით შემუსრეს ჩვენი თავდაცვა, წინ წამოიწიეს და შტაბებისა და ზურგის განადგურება იწყეს. ჩვენ მძიმე და აუნაზღაურებელი ზარალი მოგვივიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. რუსების შემომტევი სატანკო ნაწილები და მოტოქვეითი ჯარი კვალდაკვალ მოგვდევდნენ და სულის მოთქმის არავითარ საშუალებას არ გვაძლევდნენ“.

მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი

ამხ. მ. ი. კალინინის სიტყვა

6 თებერვალს მოსკოვში შესდგა მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი.

მოხსენება სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ გააკეთა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ტარასოვმა.

თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. თავის სიტყვაში ამხ. კალინინი შეჩერდა სასოფლო საბჭოების როლსა და ამოცანებზე სამამულო ომის დღეებში.

— ომი,—სთქვა ამხ. კალინინმა, — მოითხოვს მთელი ძალების სრულ დაძაბვას. საბჭოთა წყობილებამ, კოლმეურნეობებმა წითელი არმიისათვის ნამდვილი დახმარების გაწევის მხრივ უდიდესი როლი შეასრულეს. თვითონ განსაჯეთ: კოლმეურნეობები რომ არ ყოფილიყო, შესძლებდნენ განა ჩვენი ქალები, თვითეული ცალკე, მეურნეობის გაძღოლას? როგორ იქნებოდა დამუშავებული ყანები? უაღრესად ნარევად. ცოტად თუ ბევრად დამუშავებული ნაკვეთის გვერდით იქნებოდა სრულიად დაუმუშავებელი ნაკვეთები— ზედმიყოლებით ცარიელი ადგილები. მოსავალიც ძალიან ცუდი იქნებოდა. ბრმასაც კი შეუძლია დაინახოს, თუ როგორ გაუადვილეს კოლმეურნეობებმა საქმე ადამიანებს. კოლმეურნეობათა დახმარებით გლეხობა კარგად ართმევს თავს თავის ამოცანებს. ყოველივე ამასთან ბევრმა ჩვენმა ოლქმა, რომლებიც რევოლუციამდე მეტწილად მომხმარებელი და მოუსავლიანი იყვნენ, ამჟამად, თამამად შეიძლება ითქვას, საპატიო ადგილი დაიკავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. ეს კოლმეურნეობათა დამსახურებაა. შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეებმა უდიდესი საქმე გააკეთეს და აკეთებენ, უდიდეს დახმარებას უწევენ წითელ არმიას, ვინაიდან კვების პროდუქტები იმდენადვე საჭიროა არმიისათვის, რამდენადაც საომარი მასალა.

ახლოვდება გაზაფხული. მე მგონია, რომ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ამ გაზაფხულზე უფრო მეტს გააკეთებენ, ვიდრე შარშან, რათა სოფლის მეურნეობა განუწყვეტლივ იზრდებოდეს და იზრდებოდეს.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, როგორც წარმომადგენლებს მოსკოვის ოლქისას, რომელიც ოდესღაც ნაკლებმწარმოებლად ითვლებოდა და რომელმაც ამჟამად ძალიან საპატიო ადგილი დაიკავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში, — არა თუ შეგენარჩუნებინოთ ეს ადგილი, არამედ ახალ-ახალი წარმატებაც მოგეპოვებინოთ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებაში! (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა, ყველანი ფეხზე დგებიან).

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. (საქდესი).

პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციაზე

ლონდონი, 7 თებერვალი. (საქდესი). გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციის საღამოს სხდომაზე დაიწყო მოკავშირეთა სამხედრო ღონისძიებებისადმი ხელშეწყობის საკითხის განხილვა. ამ საკითხის განხილვა დაიწყო საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხ. კუზნეცოვის სიტყვით. ამხ. კუზნეცოვი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ, ლაპარაკობდა რუსულად 40 წუთის განმავლობაში. შემდეგ ამხ. კუზნეცოვის სიტყვა გადათარგმნილ იქნა სხვადასხვა დელეგაციებისათვის.

ამხ. კუზნეცოვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბრიტანეთის ტრედ-იუნიონების კონგრესის წარმომადგენელი არტურ დიკინი, რომელმაც ილაპარაკა ინგლისის მუშათა კლასის სამხედრო ღონისძიებებზე.

ლონდონი, 8 თებერვალი. (საქდესი). გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციაზე იხილავდნენ მოკავშირეთა შემდგომი საომარი ღონისძიებების პრობლემას.

პირველმა სიტყვა წარმოსთქვა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარემ რობინსონმა, რომელმაც კონფერენციის დელეგატებს სალამი გადასცა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის სახელით. რობინსონმა კონფერენციას გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების მილიონობით მუშის მიერ ომიანობის დროს მოპოვებული საწარმოო მიღწევა და განაცხადა: „ჩვენ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში იმდენად გულუბრყვილონი როდი ვართ, რომ ვიფიქროთ, ყველა ჩვენი და თქვენი პრობლემა გადაჭრილ იქნება გერმანიისა და იაპონიის ფაშიზმის სამხედრო განადგურებისთანავე. ჩვენ ვიცით, ფაშიზმს აქვს უკანასკნელი სასოწარკვეთილი იმედი, რომ გაერთიანებული ერები ერთმანეთს წაეკიდებიან, რომ ერთიანობა, რომელიც სულ უფრო და უფრო გვიახლოვებს სრულ გამარჯვებას, ადგილს დაუთმობს ეჭვიანობას, მტრობასა და განხეთქილებას. პროფკავშირთა ორგანიზებული საერთაშორისო ერთიანობა, რომელსაც ჩვენ აქ ვცდილობთ გარკვეული ფორმა მივცეთ, ერთგვარი ლუზა უნდა გახდეს იმისათვის, რომ გაერთიანებული ერები ერთად დასტოვეს გამარჯვების შემდეგ იმდენადვე, რამდენადაც გამარჯვებამდე, რომელიც სულ უფრო გვიახლოვდება“.

რობინსონის შემდეგ გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ეტლი. ეტლი კონფერენციას მიესალმა ჩერჩილისა და ინგლისის მთავრობის სახელით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებულ ერთა გადაწყვეტილებას — თავიდან აიცილონ ახალი ომი — მხარი უნდა დაუჭირონ ყველა ქვეყნის მუშებმა.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ჩინეთის დელეგატმა ჩუ სიუეფანმა, ბელგიის დელეგატმა პოველმა და საფრანგეთის დელეგატმა დიუპუიმ.

დიუპუის გამოსვლის შემდეგ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელიც კონფერენციის მუშაობის მთელი დღის განმავლობაში თავმჯდომარეობდა, წინადადება მისცა კონფერენციის ახლად შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტის მდივანს გაეკეთებინა პირველი მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა ტორნტონმა (ავსტრალიის წარმომადგენელმა) განაცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, ამასთან ზოგი მათგანი წარმოადგენს იმ რეკომენდაციების მთელ რიგ ცვლილებებს, რომლებიც წამოყენებული იყო მოსამზადებელი კომიტეტის მიერ გასული წლის დეკემბერში. კერძოდ, ტორნტონმა განაცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა დამატებითი ინფორმაცია მიიღო საფრანგეთისა და სხვა დელეგაციებისაგან პროფკავშირთა საქმიანობის შესახებ რუმინეთში, ბულგარეთში, ფინეთსა და იტალიაში. ამასთან დაკავშირებით კომიტეტი რჩევას იძლევა, რომ ამ ქვეყნების პროფკავშირებს გაეგზავნოთ მიწვევა კონფერენციაზე დასასწრებლად. საორგანიზაციო კომიტეტი აგრეთვე რჩევას იძლევა მოწვეულ იქნან პოლონეთის განთავისუფლებული ნაწილის პროფკავშირები.

გარდა ამისა, კომიტეტი წინადადებას იძლევა, რათა მსოფლიო კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიღებულ იქნას არა მარტო საერთო თანხმობით, როგორც ამას გვირჩევს მოსამზადებელი კომიტეტი, არამედ კენჭისყრის გზით, რომლის დროსაც თვითეული ნაციონალური დელეგაცია განხილულ იქნება, როგორც ერთეული. რათა გადაწყვეტილებას ძალა ექნეს, საჭიროა, რომ იგი მიღებული იყოს ყველა ნაციონალური დელეგაციის ხმების ორი მესამედის უმეტესობით. თუ დელეგაციათა დარჩენი მესამედი კონფერენციაზე წარმოდგენილ პროფკავშირთა ყველა დელეგატის მესამედზე მეტი იქნა, საკითხი შემდგომი განხილვისათვის უნდა დაისვას. საკითხებს კენჭი უნდა ეყაროს ყოველთვის, როდესაც ამას მოითხოვს სამი ან მეტი ნაციონალური ორგანიზაცია. ასეთია ზოგადად საორგანიზაციო კომიტეტის რჩევა კენჭისყრის წესის შესახებ.

ტორნტონმა აგრეთვე წამოაყენა წინადადება კონფერენციის დღის წესრიგის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებათა პროექტების დასამუშავებლად გამოყოფილ კომიტეტთა შემადგენლობის შესახებ. რეკომენდებულია, რომ მშვიდობიანობის მოწყობის საკითხების კომიტეტი შესდგებოდეს თოთხმეტი წევრისაგან, საერთაშორისო პროფკავშირული ფედერაციის საკითხების კომიტეტი—თერთმეტი წევრისაგან და კომიტეტი პროფკავშირთა ომისშემდგომი უშუალო მოთხოვნების საკითხის გადასაჭრელად—შვიდი წევრისაგან.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სიტრინმა, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია წინააღმდეგია რეკომენდაციისა—მოწვევა გაეგზავნოს ყოფილი მტრული ქვეყნების პროფკავშირებს. მან გაილაშქრა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ლიუბლინის პროფკავშირებმა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები.

სიტრინი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ უნდა გამოირკვეს საერთო თანხმობა, და სთქვა: „ჩვენ აღვნიშნავდით, რომ კონფერენციას ექნება მხოლოდ საკონსულტაციო და სათათბირო ფუნქციები. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ამ კონფერენციაზე საკითხებს კენჭი არ ეყრება. ამჟამად ჩვენს წინაშე წამოიჭრა შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნას კენჭისყრის გზით“. სიტრინმა იმედი გამოსთქვა, რომ „საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წამოყენებულ საკითხს თავს არ მოახვევენ კონფერენციას“.

სიტრინმა გამოსთქვა აგრეთვე აზრი იმის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას კომიტეტი პროფკავშირთა ომისშემდგომი მოთხოვნების საკითხის გადასაჭრელად.

დასასრულ სიტრინმა სთქვა: „მე მოვუწოდებ საორგანიზაციო კომიტეტს, რომ მან უკანვე წაიღოს თავისი მოხსენება“.

ავარია თვითმფრინავისა. რომლითაც ჩერჩილის სამდივნოს თანამშრომლები მიფრინავდნენ

ლონდონი, 8 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ იმ თვითმფრინავის ავარიის შედეგად, რომლითაც ჩერჩილის სამდივნოს თანამშრომლები სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციაზე მიემგზავრებოდნენ, დაიღუპა 12 კაცი, ხოლო 5 კაცი უკვალოდ დაიკარგა და, როგორც ფიქრობენ, აგრეთვე დაიღუპა. კიდევ 5 კაცი დაშავებულია. საავიაციო კატასტროფა 1 თებერვალს მოხდა. დაღუპულთა შორის არის საგარეო საქმეთა სამინისტროს 6 თანამშრომელი, მათ შორის ერთი ქალი, 4 ოფიცერი — სამხედრო სამინისტროს თანამშრომლები, კიდევ ერთი ოფიცერი და ერთი მფრინავი. ეკიპაჟის ოთხი წევრი უკვალოდ დაიკარგა.

პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიებზე

ლიუბლინი, 6 თებერვალი. (საქდესი). პოლონეთის განთავისუფლებული ქალაქების მოსახლეობა აღტაცებით ეგებება წითელ არმიას. ქუჩებში სტიქიურად იმართება მრავალათასიანი მიტინგები და დემონსტრაციები. იატაკქვეშეთიდან გამოდიან და მუშაობას იწყებენ საქალაქო რადა ნაროდოვები, პროფკავშირული ორგანიზაციები, პოლონეთის დემოკრატიულ პარტიათა ორგანიზაციები.

ქალაქ ტარნუვში წითელი არმიის შემდეგ მისულ პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს დიდძალი ხალხი შემოეხვია. მათ ხარბად ეკითხებოდნენ მთავრობის პოლიტიკის შესახებ, რომელზეც მრავალ ჭორს ავრცელებდნენ გერმანელი ოკუპანტები. სტიქიურად გამართულ მიტინგზე 10 ათასზე მეტი კაცი მოვიდა. შეკრებილნი მიესალმნენ თავიანთ განმათავისუფლებელს — წითელ არმიას, პოლონეთის ჯარს და პოლონეთის დროებით მთავრობას. იატაკქვეშეთიდან გამოსულმა პპს-ის, პპრ-ისა და სტრონიცტვო დემოკრატიჩნეს ორგანიზაციებმა ჩაატარეს თავიანთ წევრთა რეგისტრაცია და დაასახელეს საქალაქო და სამაზრო რადა ნაროდოვათა კანდიდატები.

ქალაქ კელცეში გერმანელთა ოკუპაციისაგან გადარჩენის გამო [illegible] სახელით პა[illegible]რაკლისი [illegible] საზეიმო მიტინგი და პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის ჯარის ქვედანაყოფებმა, აგრეთვე პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფკავშირებმა.

ქალაქ ოსტროვეცის განთავისუფლებისთანავე მშრომელები საქალაქო რადა ნაროდოვას ხელმძღვანელობით შეუდგნენ სამრეწველო საწარმოთა აღდგენას. უკვე ამუშავებულია წისქვილები, ლუდის ქარხანა, მთავრდება ელექტროსადგურის რემონტი, მიმდინარეობს სასკოლო შენობების აღდგენა.

კრაკოვში ზედიზედ იწყებენ მუშაობას ფაბრიკები. წარმოების დასახმარებლად მოდიან მუშები, რომლებმაც შესძლეს გერმანელი ოკუპანტებისაგან გადაერჩინათ ნედლეულის ძველი მარაგის ნაწილი; ისინი მას ახლა საქალაქო რადა ნაროდოვას საშუალებით აძლევენ საწარმოებს.

ლოძში უკვე ამუშავდა ათასამდე საწარმო. ქალაქში შექმნილია პროფკავშირთა დროებითი საოლქო კომიტეტი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ლოძის მცხოვრებთ ესტუმრა

ვარშავა, 8 თებერვალი. (საქდესი). 5 თებერვალს ქალაქ ლოძის სახალხო სახლში შესდგა ბელორუსიის 1-ლი ფრონტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა. შეიკრიბა ქალაქის 6 ათასზე მეტი მცხოვრები. კონცერტი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ანსამბლის ყოველი ნომრის შესრულებას თან ახლდა მქუხარე ოვაციები წითელი არმიის პატივსაცემად. განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ანსამბლის მიერ პოლონური ხალხური სიმღერების შესრულებას. კონცერტის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის რადა ნაროდოვას წარმომადგენლებმა და პოლონეთის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა. მათ მადლობა გადაუხადეს წითელ არმიას, რომელმაც პოლონეთი გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. კონცერტი დამთავრდა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნების შესრულებით.

ლოძის მცხოვრებნი მიესალმებიან თავიანთ განმათავისუფლებლებს

ვარშავა, 8 თებერვალი. (საქდესი). 5 თებერვალს ლოძში თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა ქალაქის 40 ათასამდე მცხოვრები, რომლებიც გამოვიდნენ ქალაქში საგარნიზონო სამსახურის გასაწევად მოსული პოლონეთის ჯარის ნაწილების შესახვედრად. ლოძის მოსახლეობა აღტაცებით მიესალმა პოლონეთის ჯარს და განმათავისუფლებელ წითელ არმიას. ხალხი ეხვეოდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და ყვავილებს უძღვნიდა მათ.

საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა დელეგაციის ყოფნა ჰელსინკში

ჰელსინკი, 8 თებერვალი. (საქდესი). ამ დღეებში ჰელსინკის ქალაქის გამგეობამ მიღება მოაწყო საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ჰელსინკში სტუმრად არის. მიღებას დაესწრნენ: უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე კემენოვი, პროფესორი ალექსანდროვი, მწერალი ლეონოვი, პროფესორი მალინოვსკი, კომპოზიტორი კაბალევსკი, მხატვრები კუპრიანოვი, კრილოვი და სოკოლოვი (კუკრინიქსები), სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის მთელი შემადგენლობა, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პოლიტიკური მრჩეველი ორლოვი, კომისიის მთელი რიგი სხვა წარმომადგენლები და ფინეთის მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის მინისტრები ენკელი, კეკონენი და ვუორი, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ წარმომადგენლები, ფინეთის პრესის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

სტუმრებს მიიღეს ქალაქის ბურგომისტრმა რიუდმანმა და ქალაქის გამგეობის წევრებმა.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე კემენოვი და პროფესორი მალინოვსკი ფინეთის მეცნიერების წარმომადგენლებს ესაუბრნენ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთკავშირის შესახებ მეცნიერების დარგში. კინორეჟისორმა პუდოვკინმა ერთ-ერთ კლუბში ლექცია წაიკითხა საბჭოთა კინემატოგრაფიის შესახებ.

მდგომარეობა ბერლინში

სტოკჰოლმი, 8 თებერვალი. (საქდესი). გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პანიკა ბერლინში ძლიერდება და რომ ჰიტლერელი ხელისუფალნი ამაოდ ცდილობენ აღმოფხვრან პანიკური ხმების გავრცელება. ქალაქში შეშფოთებას აძლიერებენ ლტოლვილები, რომლებიც გერმანიის აღმოსავლეთი რაიონებიდან ჩადიან. ქალაქში ქვანახშირი არ არის. ელექტრონს იშვიათად ჩართავენ ხოლმე. სასურსათო მდგომარეობა კატასტროფულია. მაღაზიები ცარიელია. შავ ბაზარში ძნელად თუ შეიძლება იშოვნო ხანდახან კარტოფილი და თალგამურა.

ტანერის განთავისუფლება სეიმის დეპუტატის მოვალეობისაგან

ჰელსინკი, 8 თებერვალი. (საქდესი). 6 თებერვალს ფინეთის სეიმის პლენარულ სხდომაზე ირჩეოდა ტანერის განცხადება სეიმის დეპუტატის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ტანერმა თავისი თხოვნა დაასაბუთა „სეიმისათვის ცნობილი პოლიტიკური მიზეზებით“. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სეიმის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, დაეთანხმოთ ტანერის განცხადებას. სეიმმა უკამათოდ დაამტკიცა ეს წინადადება, და ტანერმა დასტოვა სხდომის დარბაზი.

ვ. გოგუა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის

სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ყოფა-ცხოვრებაში ელექტროენერგიის მომჭირნეობის საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკული ბალანსისათვის.

ელექტროსადგურების მშენებლობის ჩამორჩენის გამო ჩვენში წარმოიშვა გათიშვა ელექტროენერგიის გამომუშავებასა და მის მოთხოვნილებას შორის. ამ მდგომარეობას აუარესებს საქართველოს მდინარეთა რეჟიმის სეზონური ხასიათი. შემოდგომა-ზამთრის წყალნაკლებობის პერიოდში ჰიდროელექტროსადგურები ამცირებენ ელექტროენერგიის გამომუშავებას 55-60 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის საჭიროება, გაზაფხულ-ზაფხულთან შედარებით ამ პერიოდისათვის 20-25 პროცენტით მატულობს. ამიტომ წყალნაკლებობის პერიოდისათვის ყოველწლიურად წესდება ელექტროენერგიის მოხმარების შეზღუდვის გრაფიკი.

ხრამის, სოხუმისა და ქუთაისის ჰიდროელექტროსადგურები, რომელთაც ახლა ვაშენებთ, საექსპლოატაციოდ გადაეცემა უახლოეს წლებში. სწრაფი ტემპით სწარმოებს ამჟამად აგრეთვე მუშაობა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გასაფართოებლად.

მაგრამ, სანამ აღნიშნული ახალი ელექტროსადგურები საექსპლოატაციოდ გადაეცემოდნენ, ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება „დამატებითი სიმძლავრეების“ გამოსაძებნად არის ელექტროენერგიის რაციონალური მოხმარება, ყველგან მისი უაღრესად მკაცრი მომჭირნეობა.

1944 წელს მთელ რიგ საწარმოებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, რის შედეგადაც შემომატებულ იქნა 5.150 კილოვატი ტრანსფორმატორული და 1.750 კილოვატი მოტორული გამოუყენებელი სიმძლავრე. მიღწეულ იქნა ეკონომია 2.901.587 კილოვატსაათის რაოდენობით, ხოლო სიმძლავრის კოეფიციენტი (კოსინუს „ფი“) გადიდდა 2,8 პროცენტით.

მაგრამ მუშაობა, რომელიც გაწეული იყო გასულ წელს პროდუქციის ერთეულზე ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯვის შესამცირებლად და მომჭირნეობით მის სახარჯავად, სრულიადაც საკმაო არ არის. ენერგიის ისეთმა დიდმა მომხმარებელმა, როგორიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა (დირექტორი ამხ. კეკელიძე, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. ტიმოშენკო), 1944 წელს იმდენი ელექტროენერგია გადახარჯა, რამდენიც მთელი წლის განმავლობაში გამოიმუშავა აბაშის ჰიდროელექტროსადგურმა.

ქარხნის არათანაბარი დატვირთვა, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიით მომარაგების სიძნელეებთან, იწვევს ელექტროენერგიის უნაყოფო ხარჯვის აუცილებლობას, მაგრამ გადახარჯვის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია ტექნიკური მოუწყობლობით და სამუშაოთა დაწესებული ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით.

იმ ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. სიხარულიძე და მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. ბადრიშვილი, 1944 წელს დაუშვეს 3 პროცენტამდე გადახარჯვა ელექტროენერგიის გეგმით მოხმარებასთან შედარებით. ამ ქარხანაში ენერგიულად ვერ იბრძვიან ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის და ქარხნის ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებს ღონისძიებებს ელექტრომეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად.

გარდა ამისა, ელექტრომდნობი ღუმელის მუშაობის ხშირი შეწყვეტა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მისი სიმძლავრე არ შეესაბამება საყალიბო საამქროს სიმძლავრეს, ელექტროენერგიის მნიშვნელოვან დანაკარგს იძლევა.

იმ ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. ჭიჭინაძე და მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. გონჩაროვი, წლითიწლობით აჭიანურებენ ელექტრომოწყობილობისა და გამანაწილებელი ქსელების წესრიგში მოყვანის ღონისძიებათა განხორციელებას. საამქროებში არის დიდძალი დროებითი დანადგარი. ფარებისა და ჩამრაზების მავთულები გადახლართულია, მათი ბოლოები იზოლირებული არ არის, ჩამრაზები უმეტეს შემთხვევაში მოშლილია. გარეგანი დაბალვოლტიანი ქსელი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საჭიროა მავთულების გაჭიმვა, იზოლატორების გამოცვლა, გადახრილი ტრავერზების გასწორება, მომდინობთა, ზღუდართა და შესაკრავთა წესრიგში მოყვანა.

გარდა ამისა, ქარხანაში დღემდე შენარჩუნებულია ტრანსმისიები — ამძრავის ეს მოძველებული სახეობა, რაც ელექტროენერგიის დიდ და უნაყოფო ხარჯვას იწვევს.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სადირექტივო ორგანოების დადგენილება საწარმოთა შორის ელექტრომოწყობილობის არაგაბარიტული და გამოუყენებელი სიმძლავრეების ხელახლა განაწილების შესახებ.

საქენერგო (ამხ. დევიძე) და თელასი (ამხ. კუპრაძე), რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ აღერიცხათ ზემოაღნიშნული მოწყობილობა და წარმოედგინათ წინადადებანი მათი ხელახლა განაწილების შესახებ, შეუწყნარებლად ნელა აკეთებენ ამ სამუშაოს. თითქოს საქენერგოც და თელასიც დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ამ საკითხის მალე გადაჭრით, რაც, უეჭველია, მნიშვნელოვნად გაადიდებდა სიმძლავრის კოეფიციენტს (კოსინუს „ფი“) და საშუალებას მოგვცემდა ცოტა ელექტროენერგია როდი დაგვეზოგა.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის დიდი შესაძლებლობა არის სახელმწიფო დაწესებულებებშიც და ყოფა-ცხოვრებაშიც, სადაც ხშირად მნიშვნელობას არ აძლევენ განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვას. ხშირად სარგებლობენ დიდი სიმძლავრის ელექტრონათურებით და ამასთან ზოგიერთ დაწესებულებაში ნათურები ანთია დღე-ღამე, როდესაც ეს საჭირო არ არის.

„სამუშაოდან წასვლისას შუქი ჩააქრეთ“! ეს ლოზუნგი სამწუხაროდ, ვერ გახდა ძალიან ბევრი მუშაკის ჩვეულება. 10 და 100-ვატიანი ელექტრონათურების უმიზნო ანთება დღეღამის განმავლობაში ხარჯავს იმდენ ელექტროენერგიას, რომლითაც შეიძლებოდა ამოგველო 6 ტონა მარგანეცი, 7,5 ტონა ქვანახშირი, ჩამოგვესხა 0,5 ტონა თუჯი, ან გამოგვეშვა 9 მეტრი შალის ქსოვილი.

სრულიად არასაკმაოდ არის მოწყობილი ბრძოლა გათბობის საჭიროებისათვის ელექტროენერგიის უკაიროთოდ ხარჯვის წინააღმდეგ, რაც ზოგიერთ საწარმოსა და ყოფა-ცხოვრებაში მტაცებლურ ხასიათს იღებს იმის გამო, რომ სარგებლობენ თვითნაკეთები სათბობი მოწყობილობით და აგურზე დახვეული ეკლიანი მავთულითაც კი. ენერგეტიკოსთა ამას წინათ შემდგარ რესპუბლიკურ თათბირზე მოყვანილი იყო ფაქტები იმის შესახებ, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები სუსტ დახმარებას უწევენ ელექტროენერგიის გამფლანგველთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ქალაქ ქუთაისის პროკურორს და მოსამართლეს თურმე უკანონოდ მიაჩნიათ, რომ ელექტროენერგიის მფლანგველებს ჩამოერთვათ ეს თვითნაკეთები სათბობი ხელსაწყოები, რადგან ისინი მათ მოქალაქეთა პირად საკუთრებად სთვლიან.

სათბობი და სხვა ხელსაწყოები, რა თქმა უნდა, შეიძლება მოქალაქეთა პირადი ქონების საგნები იყოს, მაგრამ თუ ამ ხელსაწყოებით ისინი ზარალს აყენებენ სოციალისტურ სახელმწიფოს სახალხო მეურნეობას, პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა არათუ უნდა ჩამოართვან, არამედ სასტიკ პასუხისგებაშიც კი მისცენ მათი პატრონები.

ამას წინათ შემოწმებულ საწარმოთა უმრავლესობას არ აღმოაჩნდათ საამქროებისა და მოწყობილობის მუშაობის გრაფიკები ელექტროენერგიის მოხმარების დაწესებული შეზღუდვის გათვალისწინებით.

ასეთი გრაფიკის უქონლობა იწვევს ელექტროენერგიაზე დაწესებული ლიმიტების სისტემატურ დარღვევას, რის შედეგადაც ელექტროსადგურთა სისტემაში იქმნება მძიმე მდგომარეობა, რაც ჩაშლის საფრთხეს უქმნის ელექტროსადგურთა ერთობლივ მუშაობას. საქენერგოს სადისპეტჩერო სამსახური ასეთ შემთხვევებში იძულებულია გამორთოს დიდმნიშვნელოვან მომხმარებელთა ჯგუფები იმისათვის, რომ მყარი მდგომარეობა შექმნას სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირია დაწესებული ლიმიტების დარღვევის, სადისპეტჩერო განკარგულებათა შეუსრულებლობის და ელექტრომეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად მიღებულ ღონისძიებათა განუხორციელებლობის შემთხვევები, საქენერგო და ენერგომოხმარება (დირექტორი ამხ. თოდაძე) ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ სუსტად იყენებენ ზეგავლენის დაწესებულ ღონისძიებებს.

საქენერგო კი ისეთი ორგანიზაციაა, რომელმაც არა მარტო უნდა გამოიმუშაოს ელექტროენერგია, არამედ მას დაკისრებული აქვს მისი ხარჯვისადმი სახელმწიფო კონტროლის ფუნქციებიც.

საქენერგოს ენერგომოხმარებას შეუძლია და კიდევაც უნდა გააძლიეროს მეთვალყურეობა სამრეწველო საწარმოებში ელექტროენერგიის ხარჯვისათვის, იგი უნდა ცდილობდეს თავის დროზე განახორციელოს ღონისძიებანი ელექტრომეურნეობის მოსაწესრიგებლად.

თითქმის ყოველ საწარმოში არის ენერგეტიკოსი. მისი მოვალეობაა სისტემატურად იმუშაოს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროენერგიის ხარჯვასთან, და ცდილობდეს განხორციელებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებიც ამცირებენ ელექტროენერგიის ხვედრითს ხარჯს პროდუქციის ერთეულზე. მაგრამ ენერგეტიკოსები ყოველთვის და ყოველ საწარმოში როდი ახორციელებენ ამ ხელმძღვანელ როლს. ზოგიერთი საწარმოს დირექტორები, მთავარი ინჟინრები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ აძლიერებენ ენერგეტიკოსის ავტორიტეტს და მხარს არ უჭერენ მას ელექტროენერგიის მომჭირნეობის დარგში ღონისძიებათა განხორციელებას, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება საწარმოს მიერ შემოღებული პრაქტიკის შეცვლას, სცვლის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, და კონსერვატიზმს იჩენენ საწარმოში სიახლისადმი.

ღონისძიებათა დასახვის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მუშებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ჩარხებთან, საწარმოთა საამქროებში, ქვანახშირის სანგრევებში, სადნობ ღუმელებთან და სხვა აგრეგატებთან.

და მართლაც, ჩარხის მთელი სიმძლავრით მუშაობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ჩარხთან უშუალოდ მომუშავეზე; ასევე ის ტრანსპორტიორი, რომლის შემწეობითაც ქვანახშირი გააქვთ ლავიდან ან შტრეკში, მუდამ დატვირთული რომ იქნეს, საჭიროა სანგრევის მუშებმა არ დაუშვან ტრანსპორტიორის უქმი სვლა და თანაბრად დატვირთონ იგი ქვანახშირით.

საწარმოებში ხშირად უნდა მოიწვიონ მუშათა ჯგუფური თათბირები ელექტროენერგიის დაზოგვის საკითხებზე, აამაღლონ მათი შეგნებულობა, აღძრან მათ შორის ინტერესი მოწყობილობის საუკეთესოდ გამოყენებისათვის და მაშინ საწარმოები არა ერთ წინადადებას მიიღებენ თვით მუშებისაგან. ამ წინადადებათა განხორციელება კი შესაძლებლობას მოგვცემს დავზოგოთ მნიშვნელოვანი რაოდენობის კილოვატსაათები.

იმ საწარმოებში, სადაც ხელმძღვანელები ელექტროენერგიის მომჭირნეობის საკითხს მცირემნიშვნელოვან საკითხად ან ქარხნის ენერგეტიკოსის კერძო საქმედ სთვლიან, არ შეიძლება წესრიგი დავამყაროთ ელექტროენერგიის ხარჯვაში. საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები სისტემატურად უნდა მუშაობდნენ სამრეწველო ენერგეტიკის საკითხებზე.

ომის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მომსახურე პერსონალის შემადგენლობაში. ბევრი მათგანი პირველად მოხვდა წარმოებაში. ამიტომ კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

კვალიფიკაციის ამაღლება საჭიროა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისთვისაც, დამოუკიდებლად მათი მუშაობის სტაჟისა და მათი თანამდებობისა, ვინაიდან სპეციფიკური ხასიათის მიხედვით ელექტრომეურნეობის მომსახურება მაღალ კულტურას მოითხოვს.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ იმ მუშაკებს, რომლებიც თავის თავზე მუშაობენ და სურთ აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ამას წინათ თბილისში ენერგეტიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საინჟინრო ტექნიკური საზოგადოების საქართველოს განყოფილებასთან მოაწყეს ელექტრიკოსთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტი. საჭიროა, რომ საწარმოები სარგებლობდნენ ამ ინსტიტუტით ქარხნის ენერგეტიკაში ჩაბმული მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ენერგიული ბრძოლის მოსაწყობად საჭიროა აღვრიცხოთ მისი ხარჯვა მთლიანად საწარმოებში და ცალკე საამქროებში. მრიცხველთა უქონლობის გამო ელექტროენერგიის ხარჯი მთელ რიგ საწარმოებში არ აღირიცხება და ანგარიშსწორება ელექტროგამსაღებელ ორგანიზაციებთან დადგენილი სიმძლავრის მიხედვით სწარმოებს.

ომის დროს საქართველოს საწარმოებში ათვისებული იყო პროდუქციის რთული სახეები, რომელთა გამოშვებაც ომამდე შეუძლებლად ითვლებოდა. ეჭვი არ არის, თუ სურვილი იქნა, ჩვენს საწარმოებში შეიძლება მოეწყოს ელექტროენერგიის აღმრიცხველი აპარატურის დამზადება. საქენერგომ და თელასმა უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

ელექტროენერგიის ნაყოფიერად მოხმარების საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ და კიდევაც უნდა დაეხმარონ ენერგეტიკულ საწარმოებს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, როგორიცაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგოინსტიტუტი, ენერგეტიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საინჟინრო ტექნიკური საზოგადოება, თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და სხვ. მაგრამ საჭიროა, რომ ამ ორგანიზაციებსა და მრეწველობას შორის დამყარდეს მჭიდრო კონტაქტი.

გასულ 1944 წელს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ მთელი რიგი საწარმოები. მათ ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისა და უავარიოდ მუშაობის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილებამ (ამხ. ღოგუა) წლის განმავლობაში ორჯერ ეკავა პირველი ადგილი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. თბილისის ხორცკომბინატმა (დირექტორი ამხ. ყარყარაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. შალინოვი) აგრეთვე ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ქუთაისის აბრეშუმკომბინატს (დირექტორი ამხ. თოთიბაძე, მთავარი ენერგეტიკოსი მაღლაკელიძე), თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკას (დირექტორი ჩადრანოვი, ენერგეტიკოსი აკოპოვი), ტყიბულქვანახშირის ტრესტს (მმართველი ამხ. ვარდიშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. შარახაი) და სხვ.

1945 წელს უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისათვის, რომელიც ყოველკვარტალურად ეძლევათ ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის, სიმძლავრის კოეფიციენტის (კოსინუს „ფი“) ამაღლებისა და უავარიოდ მუშაობის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

ამას წინათ შემდგარ რესპუბლიკურ თათბირზე მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელებმა და ენერგეტიკოსებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. მაგალითად, ფეროშენადნობთა ქარხანამ იკისრა წელს დაზოგოს 5.500.000 კილოვატსაათი, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროწევამ — 1.000.000 კილოვატსაათი, თელასმა — ქალაქ თბილისის მრეწველობაში—1.600.000 კილოვატსაათი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა—500.000 კილოვატსაათი, ტყიბულქვანახშირმა — 300.000 კილოვატსაათი და სხვ. ენერგეტიკოსთა თათბირზე მიღებული ეს და სხვა ვალდებულებები მთლიანად უნდა შესრულდეს.

საძულველი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამამულო ომის პირობებში ჩვენმა საწარმოებმა ისწავლეს შინაგანი რესურსების გამოძებნა და გამოყენება. ამით უზრუნველყოფილი ხდება იმ დიდმნიშვნელოვანი შეკვეთების შესრულება, რომლებიც ჩვენი სამშობლოს თავდაცვას ხმარდება.

ყოველ საწარმოს აქვს შესაძლებლობანი, რომლებიც საკმაოა თავის ელექტრომეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ მათი გამოძებნა და უნარიანად გამოყენება. ამით განთავისუფლდება მნიშვნელოვანი რაოდენობის კილოვატსაათი, რათა იგი ნაყოფიერად გამოვიყენოთ მრეწველობასა და ტრანსპორტზე ფრონტისათვის დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1915 — აკაკი წერეთელი — 1945

უდიდესი პოეტი

პოეზიის უდიდესი ოსტატის აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არსებითად შეიცვალა აკაკის „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი" სამშობლო. შეიცვალა არა მარტო ეკონომიური სახე ჩვენი ქვეყნისა, არამედ ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა ადამიანთა შეგნებაში. მაგრამ არ შეცვლილა და არ გაწელებულა ხალხში ის დიდი ინტერესი, რაც აკაკის პოეზიას თავიდანვე ხვდა წილად.

ძნელია მოიძებნოს სხვა ისეთი პოპულარული პოეტი, როგორიც აკაკი იყო. აკაკის ლექსებს იმთავითვე დაეწაფა მკითხველი. მის ლექსებს ზეპირად ამბობდა, მღეროდა ხალხი, ხალხის საკუთრებად იქცეოდა. აკაკი ხალხმა შეიყვარა, დიდების შარავანდედით შემოსა.

აკაკის პოეზიის ცხოველმყოფელი ძალა სამშობლოს მხურვალე სიყვარულშია. აკაკი, თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური იყო. მან თავისი დიდი პოეტური ნიჭი და მთელი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს შესწირა. აკაკის ჭეშმარიტად შეეძლო ეთქვა: „სული და გული, ბუნების ნიჭი, სიჭაბუკე და წამი ყოველი, შენ შემოგწირე ჩემო სამშობლო".

პოეტს მუდამ და ყველგან თან სდევდა ფიქრი სამშობლოზე: „ჩემი სატრფო სად არი, ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?" პოეტი სწერდა:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც განა?".

აკაკიმ კარგად იცოდა, რომ სამშობლოსათვის საჭირო იყო მსხვერპლის გაღება. ამ აზრით შთაგონებული პოეტი სწერდა: „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულის შვილი". სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით აღაგზნებდა ხალხს აკაკის საბრძოლო მოწოდება:

„სჯობს მონობაში გადაქცეულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი"...

აკაკი წერეთელი მწერლობას დიდ როლს ანიჭებდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მსგავსად აკაკიმ მწერლობას ძირითად ამოცანად საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობისათვის სამსახური დაუსახა. „მწერლობა,—წერს აკაკი,—ზნეობრივი და გონებრივი მეხარკეობაა... პოეტის ნაწერშიც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია და, მაშასადამე, მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველ-დღიურ საერო მოვლენას რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს". ეს პრინციპი დაედო საფუძვლად აკაკის მხატვრული შემოქმედების მეთოდს.

ხალხის ფართო ინტერესებით, დაჩაგრულისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივებით განსაზღვრავდა აკაკი პოეზიის საგანს:

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით აზურებდეს!
. . . .
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს-კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!"..

აკაკი წერეთელი კარგად ხედავდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ერთი მხრივ—ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან, მეორეს მხრივ—მეფის მოხელეებისაგან. აკაკი წერეთელმა თავისი მხატვრული სიტყვის მთელი ძალა მჩაგვრელების წინააღმდეგ წარმართა და ამ მხრივ მან პირველ რიგში გაიზიარა სამოციანი წლების მოღვაწეთა დამახასიათებელი შემოქმედებითი მრავალმხრივობა. ლირიკა, პროზა, დრამა, პუბლიცისტიკა, სალიტერატურო კრიტიკა—ასეთია აკაკის მრავალფეროვანი ლიტერატურული სფერო. პოეტი იბრძოდა ქართველი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის. მისი პოეტური ნიჭი და აღგზნებული სიტყვა იმისაკენ იყო მიმართული, რომ გაეღვიძებინა და გაეძლიერებინა პატრიოტული გრძნობები ხალხში. ამ მიზნის მისაღწევად აკაკი უხვად იყენებდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გმირულ ეპიზოდებს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მისი პოემები, დრამები, მოთხრობები უმთავრესად ისტორიული ხასიათისაა („თორნიკე ერისთავი", „პატარა კახი", „ბაში-აჩუკი", „თამარ ცბიერი", „ნათელა" და სხვ.).

ისტორიულ თემებს აკაკი იმ თვალსაზრისით ამუშავებდა, რომ წარსულის მოწინავე ტრადიციები გამოეყენებია აწმყოს გარდასაქმნელად, თანამედროვე პოზიციების გასამაგრებლად, ყოველდღიური ბრძოლის იარაღად. აკაკი სწერდა: „ისტორიული სიმართლე მლაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება. ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოხვლავებოდეს!... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზედ ეხლებიან, მაგრამ დაუძლურებული და ქაფად ქცეული უკანვე იქცევიან".

ამიტომ მოსავს პოეტი დიდების შარავანდედით თანამედროვეთა თვალში ჩვენი სამშობლოს წარსულს. მას სურს, რომ ხალხს აგრძნობინოს თავისუფალი საქართველოს ძალა, რომ საქართველომ „კვლავინდებურად იმოქმედოს, გაუმკლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს".

ისტორიული თემებიდან აკაკი ისეთს არჩევდა, რაც უფრო შეეფერებოდა მისი დროის საქართველოს. ის ირჩევდა ისეთ მომენტებს, სადაც ქართველი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყველაზე ნათლად სჩანდა. მისი „ბაში-აჩუკის" გმირის ჩოლოყაშვილის სიტყვები მოწოდებად გაისმოდა XIX საუკუნის საქართველოში: „ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად!... ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!... საქართველოს ჭირიც წავიღოთ"...

პოეტი ეძახდა გმირებს, დაფითა და ნაღარით მოუწოდებდა მათ „ცხრაკლიტულში მჯდომარე" საქართველოს დასახსნელად. ის სწერდა „გმირებს ეძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა".

ქართველი ხალხი უდიდესი იმედით კითხულობდა აკაკის სიტყვებს:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი".

აკაკის ღრმად სწამდა, რომ დადგება დრო, მოვა გმირი და გამოიხსნის სამშობლოს, აღდგება და განახლდება ჩვენი ქვეყანა. ჭეშმარიტად, ასრულდა აკაკის სიტყვები. მოვიდა ის გმირი, ვისაც მოელოდა პოეტი და მან დიდ ლენინთან ერთად იხსნა საქართველო და მთელი საბჭოთა ქვეყანა ჩაგვრისა და უსამართლობისაგან.

აკაკის ასევე ღრმად სწამდა, რომ სამშობლო როცა გაიღვიძებს,

„მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..."

არც ამაში შემცდარა პოეტი. დღეს სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს გაღვიძებული და აღორძინებული დედა-სამშობლო იმ დიდ ადამიანს, ვინც თავისი მადლიანი კალმით ნახევარ საუკუნეზე მეტს ემსახურა თავის ხალხს. პოეტი დღესაც ჩვენთან არის და თავისი უკვდავი ლექსებით აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს.

ღვაწლმოსილ პოეტს რომ შეეძლოს თავისი საყვარელი მთაწმინდიდან გადახედოს ჩვენს გამარჯვებულ ქვეყანას და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ გმირებს, იგი უთუოდ იტყოდა:

„ამას ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვტირი მე".

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ვითარებაში აღვნიშნავთ ჩვენ ოცდაათი წლისთავს აკაკის გარდაცვალებიდან. სიამაყის გრძნობით ვიგონებთ ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატს, დიდ მოქალაქეს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი შესანიშნავი აწმყოს შექმნისათვის, დიდ პატრიოტს, რომელსაც გულმხურვალედ უყვარდა საქართველო და მის განთავისუფლებას შესწირა მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე.

ს. ჭილაია

მოსაგონარი

1914 წლის 21 დეკემბერს ჩემმა მეუღლემ კოტემ ავადმყოფი აკაკი ქუთაისიდან სხვიტორში ჩამოიყვანა. მგოსანს ძლიერ ესიამოვნა თავის მშობლიურ სახლში მოსვლა და ყოველნაირად ცდილობდა ავადმყოფობა არ შეემჩნია. 22-23 დეკემბერს მგოსანი ფეხზე იყო, —ხანდახან თუ წამოწვებოდა. 24 დეკემბერს კი სამუდამოდ ჩავარდა ლოგინად.

ავადმყოფობის პერიოდში მეც, სხვებთან ერთად, თავზე ვადექი აკაკის. 1915 წლის 23 თუ 24 იანვარს, კარგად აღარ მახსოვს, აკაკიმ ყურძენი ინატრა. მივართვი ერთი აკიდო რქა-წითელი. აკაკის ძალიან ესიამოვნა და სთქვა: „მშვენიერი შენახულია, ჩემო ანა". მგოსანმა მხოლოდ ათიოდე მარცვალი შეაცალა და შესჭამა, დანარჩენი უკანვე დამიბრუნა და მითხრა: „შემინახე, ჩემო ანიკო, და როცა მოგთხოვო, მომიტანეო". მე მართლაც შევინახე ყურძენი, მაგრამ აკაკის ის აღარ მოუკითხავს, — სიკვდილმა მოუსწრო და 26 იანვარს ღამის სრულ პირველ საათზე გარდაიცვალა.

აკაკის ოთახში მაღვიძარა საათი იდგა, და რადგან მისგან ხშირად ხუმრობით მქონდა გაგონილი: „ეს საათი ჩემდენს იცოცხლებსო", მეც აკაკის გარდაცვალების წუთშივე გავაჩერე საათი.

როცა აკაკი სხვიტორიდან თბილისში წაასვენეს, მე აზრი დამებადა ისე ხელუხლებლად შემენახა მისი ოთახი, როგორც მგოსანმა დასტოვა. მისი ხელნაკიდები ყურძნის აკიდოც ოთახის კედელზე ჩამოვკიდე მგოსნის სახსოვრად. მას შემდეგ 30 წელი გავიდა, აკიდოს მარცვლები მთლიანად გამოიფიტა, დაჩნდა კედელს და დღეს მხოლოდ ღერო და გამხმარი კლერტები დარჩა, — ამ უკანასკნელსაც სრულ გაქრობამდე შევუნახავ შთამომავლობას.

ანიკო აბდუშელიშვილი

მცხოვრები სოფელ სხვიტორში, აკაკის სახლში, 76 წლისა.

ჩაიწერა პ. ახანიძემ

გლეხების მეგობარი

როცა აკაკი სხვიტორში ჩამობრძანდებოდა, მაშინვე კაცს გამოგვიგზავნიდა, დაგვიბარებდა თავის სახლში და გველაპარაკებოდა მთისა და ბარის ამბებზე. მერე მოგვიბრუნდებოდა და გვკითხავდა: „ახლა თქვენ მითხარით, ჩემო მეზობლებო, რა გიჭირთ და რა გილხინთო". მერე გვეტყოდა: „ჩემი ადგილ-მამული თქვენს ხელში იქნება, დაამუშავეთ, მოიხმარეთ და ცოტა მეც მასარგებლეთ, დანარჩენი კი თქვენი იყოსო".

ძალიან ხშირად, როცა აკაკი სოფელში ჩამობრძანდებოდა, გაჭირვებულ გლეხებს ყოველთვის მამასავით ეხმარებოდა, ზოგს სიმინდს აძლევდა უფულოდ, ზოგს პურს, ზოგს ღვინოს და ზოგს ფულითაც ეხმარებოდა.

აკაკი ძალიან თავდაბალი კაცი იყო. როცა „ბატონს" ვეტყოდით, მოგვიბრუნდებოდა და გვეტყოდა: „თუ ღმერთი გწამთ, სახელი დამიძახეთ, მე ბატონი არა ვარო".

აკაკის გლეხებთან პურის ჭამა და ლაპარაკი ძალიან უყვარდა. როცა თავადები და აზნაურები დაპატიჟებდნენ, ცხენსაც გამოუგზავნიდნენ, აკაკი იმათთან არ მიდიოდა. ჩვენ ძალიან გვიკვირდა აკაკის ასეთი საქციელი და მორიდებით ვკითხავდით ხოლმე: „ბატონო აკაკი, რატომ არ დაბრძანდებით ბიძაშვილებთან და აბაშიძეებთან წვეულებებში?". აკაკი თავს გადააქნევ-გადმოაქნევდა და გვეტყოდა: „ისინი გულხამშიანები და გულბოროტები არიან. მათთან ქეიფს თქვენთან ტკბილი ლაპარაკი მირჩევნიაო".

მელიტონ კირვალიძე

მცხოვრები სოფელ სხვიტორში, კოლმეურნე, 64 წლისა, წერა-კითხვის მცირემცოდნე.

ჩაიწერა პ. ახანიძემ



საღამო გორში

ახალგაზრდობაში ბედმა მარგუნა აკაკისთან ახლო ნაცნობობა. ეს იყო მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა გადახდილ საიუბილეო ტრიუმფთა და პარიზში მოგზაურობის შემდეგ მოხუცი მგოსანი ჩვეულებრივ შრომასა და ცხოვრებას დაუბრუნდა.

აკაკი ტრიალებდა თბილისში, მონაწილეობდა სალიტერატურო საღამოებში, ესწრებოდა საზოგადოებრივი ხასიათის კრებებს, დადიოდა რედაქციებში, თეატრებში, კლუბში და ყოველივე ამას ბედნიერად ათავსებდა დიდ პოეტურ შემოქმედებასთან.

ყველას აინტერესებდა აკაკისთან შეხვედრა თუ საუბარი, მაგრამ ახალგაზრდობისათვის, მეტადრე ახალგაზრდა მწერლებისათვის მის ახლოს ყოფნა პირდაპირ სანატრელი იყო.

ამას ჰქონდა თავისი მიზეზი: აკაკი გასაოცარ გულისხმიერებას იჩენდა ახალგაზრდობისადმი, ფიქრობდა მათი სწავლის, საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი დაწინაურების საქმეზე და ბევრს შესაძლებელ დახმარებასაც ჩვეული ხალისით უწევდა.

აკაკის განსაკუთრებით აინტერესებდა სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდობა. ბევრ მათგანს პირადად იცნობდა, ხოლო მათი ნაწერებიდან იშვიათად თუ რამ გამორჩებოდა წაუკითხავი. დაახლოებულ ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრისას გულთბილად მსჯელობდა ჟურნალ-გაზეთებში წაკითხულ ლექსებზე, დიდაქტიკურად განიხილავდა, აზრს გამოთქვამდა მათს გარშემო.

აკაკის გულისხმიერების დამახასიათებელი იყო ჩემდამი მისი ყურადღებაც. მასთან ოჯახში არაერთხელ ვყოფილვარ: მომისმენდა, მესაუბრებოდა, დამარიგებდა და თავი ისე კი არ ეჭირა, როგორც დიდაფნულ ოლიმპიელს. მშობლიურ სითბოსა და შთაგონებას ვგრძნობდი მუდამ მის სიტყვებში.

1913 წლის 23 აპრილს ქ. გორში განზრახული იყო ჩემს სასარგებლოდ სალიტერატურო საღამოს მოწყობა. სწავლას სკოლის გარეთ ვღებულობდი, და გულშემატკივარი მეგობრების რჩევით, მოსკოვს ვაპირებდი წასვლა, შანიავსკის კერძო უნივერსიტეტში შესასვლელად. აკაკის შევბედე ჩემს საღამოში მონაწილეობის მიღება.

— სიამოვნებით! მაგ კეთილ საქმეზე ხელის მომართვას ჩემი სიბერეც ვერ შემიშლისო — მიპასუხა.

ვეცადე აკაკის საკადრისი მონაწილენი მომეწვია. თბილისიდან კიტა აბაშიძე, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მომღერალი შაშიაშვილი და პოეტი გიორგი ქუჩიშვილი შევიპირე, ქუთაისიდან — დავით კლდიაშვილი, ხოლო თვით გორში ნიკო ლომოური და თედო რაზიკაშვილი დამეთანხმნენ გამოსვლას.

როცა მონაწილეთა სია აკაკის ვაჩვენე, — ის დააცქერდა კიტა აბაშიძის გვარს გაიღიმა და მკითხა:

— კიტა მოდის?

— დიახ.

— ძალიან კარგი, — დასძინა პაუზის შემდეგ.

მე ვერ მივუხვდი. აკაკი თურმე ნაწყენი იყო კიტა აბაშიძეზე.

საღამო შესდგა, მაგრამ მოულოდნელი ავადმყოფობის გამო აკაკიმ მასში მონაწილეობა ვერ მიიღო. გორელები ადრე გავაფრთხილეთ და აფიშებიც ხელმეორედ დავბეჭდეთ, რომ თავი დაგვეზღვია დამსწრეთა გულისწყრომისაგან. ამ შემთხვევის გამო, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ აკაკის გამოუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა, თუ შეიძლება ჩამობრძანდი და გორელებს იმედს ნუ გაგვიცრუებო. ანასტასია მაშინ გორში ბინადრობდა და ჩემი საღამოს ხელმძღვანელობა იკისრა.

გორში წასვლის დღისათვის აკაკისთან მივედი იმ სახლში, რომელიც მდებარეობდა კიროვის სახელობის ახლანდელი პარკის შესავლის კუთხეში. წერილი გამატანა ერისთავ-ხოშტარიასთან. აკაკი სწერდა ანასტასიას თავისი ავადმყოფობის ამბავს, ბოდიშს იხდიდა წაუსვლელობის გამო და ჰპირდებოდა — მოკლე ხანში აუცილებლად გეწვევით ამ ახალგაზრდის დასახმარებლადო.

დიდმა მგოსანმა არ ისურვა ახალგაზრდა პოეტის გაწბილება და შვიდი თვის შემდეგ, 1913 წლის 2 ნოემბერს, გორში კვლავ შესდგა ჩემს სასარგებლოდ სალიტერატურო საღამო.

ეს იყო აკაკისათვის ჩვეულებრივი ტრიუმფი. მთელი ქართლი შეიძრა. ბილეთების შეძენაზე პირდაპირ წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა.

მატარებელი საღამოს 6 საათზე ჩადიოდა გორში. ხალხს კი დილიდანვე მოეყარა სადგურში თავი. განსაკუთრებით მოწაფეობის თავშეყრას ეჭვში შეეყვანა ჟანდარმერია და სადგურზე მცველთა რიცხვი გაედიდებინათ.

აი ჩამოდგა მატარებელი. ბაქანზე თავმოყრილი ხალხი უცდიდა საპატიო სტუმრის გამოჩენას, და როცა აკაკის ოლიმპიურმა ჭაღარამ გამოანათა, იგრიალა ტაშმა და „ვაშას" ძახილმა. ვაგონიდან გადმოსვლისას მგოსანს ყვავილების დიდი თაიგული მიართვა თეთრად გამოწყობილმა გოგონამ. შემდეგ ბაქნიდან გორის ხიდამდე მოწაფეები აკაკის ყვავილებს უფენდნენ გასავლელ გზაზე, ხოლო მთელ ქუჩაზე მჭიდროდ მოჰყვებოდნენ ცარიელი ეტლები ფეხით მიმავალთ. ხიდთან დიდ სტუმარს ეტლი მიართვეს და იგი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ბინაზე წაიყვანეს.

კლუბის შენობის გარშემო დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი. ახალგაზრდობა თეატრის შესასვლელთან აკაკის მისასალმებელი სიმღერით შეხვდა, ყვავილებს ისროდნენ მის წინ და ტაშითა და „ვაშათი" აცილებდნენ.

თვით საღამო წარუშლელ დღესასწაულად დარჩა ჩემს ხსოვნაში. ამ ზეიმის ამბავი ვრცლად და საინტერესოდ არის მოთხრობილი „სახალხო გაზეთის" 1913 წლის 7 ნოემბრის ნომერში (№ 1037).

საღამოს სალიტერატურო განყოფილებაში აკაკიმ ჯერ დაუბეჭდავ პოემა „რაჭა-ლეჩხუმის" წაკითხვით მიიღო მონაწილეობა.

ხანგრძლივი ტაშით, „ვაშას" ძახილითა და თაიგულების მირთმევით დამთავრდა პოემის კითხვა. ეს იყო აკაკის განსაკუთრებული, ტკბილი, ოდნავ შეხზარული ხავერდოვანი ტემბრით შესრულებული დეკლამაცია.

აკაკის საჩუქრები მიართვეს, მაგრამ მე უფრო ძვირფასი საჩუქარი მხვდა წილად: აკაკიმ კოცნით დამაჯილდოვა იმ დარბაზის წინაშე—ლექსის წაკითხვის შემდეგ. ეს ჩემს დამსახურებად კი არა, აკაკის გულისხმიერების დამახასიათებლად მივიჩნიე, მაგრამ მაინც ბედნიერ საჩუქრად ჩავთვალე.

დიდი მგოსანი ტაშით შეხვდა გიორგი ქუჩიშვილის მიერ წაკითხულ ლექსებს და გვერდზე მჯდომ თედო რაზიკაშვილს გადაულაპარაკა:

— ეს ახალგაზრდა მშვენიერ ლექსებს რომ სწერდა, ვიცოდი, მარა თუ ასე მშვენივრად კითხულობდა — არ მეგონა, გრიგოლ აბაშიძე გამახსენა.

საღამოს შემდეგ ადგილობრივმა ინტელიგენციამ ვახშამი გაუმართა აკაკის. იმდროინდელი გორის საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი და სხვები მასპინძლობდნენ იშვიათ სტუმარს. აკაკი მხიარული იყო და სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვებს მგზნებარედ უპასუხებდა.

საზეიმო ნადიმი გათენებამდე გაგრძელდა.

მეორე დღეს გორის ქალთა მეცენატურმა საზოგადოებამ „მანდილოსანმა" სადილად მიიწვია სტუმარი. ეს იყო ახალგაზრდობასთან შეხვედრაც. აკაკიმ შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით უპასუხა ახალგაზრდებს და სიტყვა დაამთავრა შემდეგი ლექსით:

„ის მიხარებს მოხუც გრძნობას,
გულს ის მხვდება შვების ისრად,
მშობელ ქვეყნის სამსახურსა
რომ ღებულობს შვილი კისრად.
ასეთ შვილებს საიმედოდ
თქვენშიაც ხედავს ჩემი თვალი,
მიტომა მწამს ასე მტკიცედ
საქართველოს მომავალი!"*)

თითქოს წინასწარმეტყველური ალღოს ენამ უკარნახა ჩვენი პოეზიის დიდ მოამაგეს ამ სტრიქონების წარმოთქმა სწორედ გორში, სადაც დაირწა ჩვენი ბედნიერებისა და ბრწყინვალე მომავლის შემქმნელის დიდი ბელადის აკვანი.

სიკო ფაშალიშვილი

---

*) ეს ლექსი აქამდე დაბეჭდილი არსად არის. როგორც მახსოვს, ეს სტრიქონები აკაკის ახალი პოემის („რაჭა-ლეჩხუმი") ერთ-ერთი თავის ნაწყვეტი იყო.

ხალხის მგოსანი

აკაკი წერეთელმა თავისი დიდი პოეტური გზის დასაწყისშივე მიიპყრო თანამედროვე საქართველოს ყურადღება. მან ჯერ კიდევ ჭაბუკური სიმღერებით გამოსთქვა ჩვენი ხალხის ჰმუნვა და ფიქრი. მან იმთავითვე შესძლო ჩვენი ხალხის გულის ყველაზე უმგრძნობიარესი სიმების აჟღერება. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჭაბუკი ილია ახლად შლიდა თავის არწივის ფრთებს, როდესაც ნ. ბარათაშვილის ცალკეული ლექსები, როგორც ოკეანის ფსკერიდან ამოღებული მარგალიტები, მხოლოდ იწყებდნენ „ცისკრის" ფურცლებზე გამოჩენას, აკაკის „საიდუმლო ბარათს" უკვე იმღეროდნენ ახალგაზრდა ქართველი ქალები. შეიძლება ამიტომაც აკაკიზე იყოს ზედგამოჭრილი ის მრავალმეტყველი და ძვირფასი სტრიქონები, რომლითაც ტიუტჩევმა მიმართა „ევგენი ონეგინის" ავტორის დიად აჩრდილს:

„Тебя ж, как первую любовь,
России сердце не забудет!..."

ხალხის სიყვარული, როგორც ნათელი შარავანდედი, აკაკის თან სდევდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მისი ლირიკული შედევრები და საუკეთესო პოემები, დრამატული და ბელეტრისტული ნაწარმოებნი პოეტის სიცოცხლეშივე გადავიდნენ ხალხში და იქ, ხალხის გულში დაიკავეს სამუდამო ბინა. აკაკის ლექსებს მღეროდა და დღესაც იმღერის მთელი საქართველო. როდესაც სომხეთა გამოჩენილი პოეტი ავეტიკ ისააკიანი პირველად ესტუმრა საქართველოს, ქართულ ოჯახში მან მოისმინა სიმღერა, რომელიც მოხვდა მის გულს. მას უთხრეს, რომ სიტყვები ეკუთვნის აკაკის. ისააკიანმა კიდევ რამდენიმე სიმღერა მოისმინა, ყველა აკაკის ლექსებზე გამოთქმული და აღტაცებით წამოიძახა: „დიდება პოეტს, რომელსაც იმღერის მისი ერი, ის მარად უკვდავია!".

აკაკის შემოქმედებაზე გაიზარდა ათეული თაობები ქართველი ახალგაზრდობისა, მისი ნაწერებით სწავლობდნენ დედაენას, სამშობლოს სიყვარულს, ეზიარებოდნენ მაღალ ჰუმანურ და მოქალაქეობრივ იდეებს.

აკაკის სახელი განუშორებელია ილია ჭავჭავაძის სახელთან. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, ქართული პრესა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ლიტერატურა, თეატრი, სახალხო განათლება, ყოველივე ის, რამაც ქართველი ერი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აქცია ერთ-ერთ მოწინავე და კულტურულ ხალხად მეფის რუსეთის იმპერიაში, — დაკავშირებულია ამ ორი დიდი პოეტის და დიდი ქართველი ადამიანის უკვდავ სახელებთან. და თუ ილია ჭავჭავაძე იყო ფიქრი, სევდა საქართველოსი, აკაკი მისი გრძნობა, ოცნება და სიხარული იყო. ორივენი თავის შემოქმედებაში გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას და უჩვენებდნენ მას ახალ გზებს უკეთესი მომავლისაკენ. ის გიგანტური ტვირთი ხალხის გონებისა და გრძნობის მესვეურობისა, რომელიც ჰზიდა ამ ორმა პოეტმა, მოწმობენ მათი შემოქმედი და მებრძოლი სულის სიდიადეს.

აკაკის შემოქმედებას ფართო ნაციონალური და სოციალური იდეები ასულდგმულებდა. როგორც პოეტი, ის დაჯილდოებული იყო აბსოლუტური სმენით. მისი ლირიკა, შეუდარებელი თავისი ემოციურობით, სწვდება მკითხველის გულის ულრმეს ხვეულებს, სძრავს მის გრძნობებს, აშფოთებს ფიქრებს. ის არაჩვეულებრივი უბრალოებით გამოხატავდა თავის ლექსებში ხალხისათვის ნათელ და გასაგებ იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანი უნდა იყოს ყოველმხრივ თავისუფალი, რომ საჭიროა ბრძოლა მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლება მოპოვებულ იქნას უფლება ცხოვრებისა, სიყვარულისა, ბედნიერებისა.

აკაკი სრულყოფილად ჰფლობდა პოეტური შემოქმედების კიდევ ერთ იარაღს. ეს იყო მსუბუქი იუმორი, რომელიც საჭირო შემთხვევებში ბასრ სატირაში გადადიოდა. აკაკიმ პირველმა შექმნა მხატვრული პუბლიცისტიკის ჟანრი, რომელიც წარმოადგენდა მეტად საშიშარ ორლესულ მახვილს ხალხის მტრებისა და ორგულების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში. თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა აკაკი თავის საგაზეთო ფელეტონებს, რომელნიც დღეს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს შეიცავენ, იქიდან სჩანს, რომ მათთვის პოეტი არ იშურებდა თავის ლირიკულ შედევრებსაც კი. „ალმართ-აღმართ", „ნახევარი ცხოვრების გზა" და სხვა საუნჯეები პირველად მხოლოდ ამ ფელეტონების შემადგენელ ნაწილებად იქნენ გამოყენებული. იქნებ ალღო აკლდა პოეტს? არა, — „მშობელი ქვეყნის მოზარემ", როგორც მას ვაჟა-ფშაველა უწოდებდა, კარგად იცოდა გარჩევა წარმავალისა და უკვდავისა. მაგრამ მას მტკიცედ სჯეროდა ერთი რამ. ის ამბობდა: „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერო მოვლინებას, რა გინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს... ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს".

საგულისხმოა, რომ აკაკის თითქმის ყველა საუკეთესო პოემა, მათ შორის დრამატული პოემებიც კი, ისტორიულ თემაზეა დაწერილი. მაგრამ პრობლემატიკა ამ პოემებისა, მათი იდეური გამიზნულობა უაღრესად თანადროული და აქტუალური იყო მათი დაწერის ხანაში. ეს აქტუალობა მათ არც შემდეგ დაუკარგავთ. განა „თორნიკე ერისთავი" და „პატარა კახი", „ნათელა" და „კიკოლას ნაამბობი" დღესაც, დიდი სამამულო ომის ისტორიულ დღეებში, ისევე მკვეთრად არა ჟღერენ და არ გამოხატავენ ჩვენი ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებებს?

აკაკიმ შექმნა ქართული მხატვრული პროზის შედევრი „ბაში-აჩუკი", და მომხიბლავი თავისი გულწრფელი უშუალობით „ჩემი თავგადასავალი". აქ და სხვა წვრილ მოთხრობებში აკაკიმ გვიჩვენა დაუშრეტელი შესაძლებლობანი ქართული მხატვრული სიტყვისა, გვაგრძნობინა ჰაეროვანი სინარნარე და სიტკბო ქართული მეტყველებისა.

თითონ გოლიათი პოეტური შემოქმედებისა, უტყუარი ალღოთი სცნობდა და აფასებდა სხვა თავის თანამედროვეთა პოეტურ ღირსებასა და მნიშვნელობას. ჯერ კიდევ 24 წლის ჭაბუკმა, თავის ადრინდელ კრიტიკულ წერილში, პირველმა შეაფასა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამდვილი მნიშვნელობა, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის მამამთავრისა და იქვე აღიარა თავისი თანამებრძოლი და თანამედროვე, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურის ნამდვილ მებაირახტრედ. მოხუცობის ჟამს მან შექმნა მეცხრამეტე საუკუნის მწერალ-მოღვაწეების კრიტიკული პორტრეტები, რომლებიც გვაოცებენ თავისი ოსტატური სიმახვილითა და მხატვრული ლაკონიურობით. ამ პორტრეტებიდან ცოცხალი სახით უცქერენ შთამომავლობას: ივანე კერესელიძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლავრენტი არდაზიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და ივანე მაჩაბელი.

აკაკი უკვდავია და მარად ცოცხალი ქართველი ხალხის გულში. ის თანაზიარია მშობელი ქვეყნის ჭირისა და ლხინისა, მისი ფიქრების, მისი განცდებისა.

დიდი სამამულო ომის დღეებში, სასტიკი ისტორიული გამოცდის ჟამს, მოხუცი აკაკის ჩანგი კვლავ განაგრძობს ჟღერას და მოგვიწოდებს მხნეობისა და სულის მედგრობისაკენ, სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დაცვისაკენ:

„რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი".

მოხუცი აკაკი კვლავ ჩვენთან არის. ფაშისტი მხეცი, სასიკვდილოდ დაჭრილი, მიმწყვდეულია თავის ბუნაგში და ითვლის უკანასკნელ დღეებს. გმირი წითელი არმია, გენიოსი მხედართმთავრის სტალინის წინამძღოლობით, ანადგურებს მტერს მისსავე მიწა-წყალზე. მოძმე ხალხებთან ერთად, ქართველი ხალხის შვილებმა უკვდავი დიდებით შემოსეს თავისი სამშობლოს სახელი:

„ვინ მოგვითხრას, მათი საქმე უთვალავი, საგმირონი?"

ამ ისტორიულ დღეებში ჩვენი ხალხი იგონებს თავის შესანიშნავ მგოსანს. არასოდეს იგი არ დაივიწყებს სწორუპოვარ პოეტს, ვინც — ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი თქმისა არ იყოს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე „ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის".

ლევან ასათიანი

უკანასკნელი ღამე

1915 წლის 26 იანვარს, დამდეგ ღამის, პირველ საათზე, საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის მესაიდუმლე—აკაკი წერეთელი გარდაიცვალა.

1915 წლის გაზეთებიდან.

**იმ ღამეს წარბი შეიკრა ცამაც, —
დუმილს მიეცა წამით მთა-ბარი,
ეთხოვებოდა სიცოცხლეს ლამაზს
სხვიტორის ღვიძლი და ბინადარი.**

**ჩიხურის პირას ჩინარი თრთოდა, —
სუსხი თოშავდა მთასა და ვაკეს...**

**წუთით შეტოკდა წერეთლის ოდა —
თურმე დადუმდა აკაკის ბაგე;**

**...თოვლის პეპლები ცვიოდა ციდან,
იდგა ცივი და პირკუპრი დარი,
ეზოში ქარი ნამქერებს ცრიდა
და აივანზეც სტიროდა ქარი.**

პლატონ ასანიძე

სხვიტორი. აკაკის მუზეუმი.

პოეტის საფლავზე

აკაკი წერეთლის გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით გუშინ, 8 თებერვალს, დღის 2 საათზე დიდი ქართველი პოეტის საფლავზე შეიკრიბნენ საქართველოს საბჭოთა მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები, აგრეთვე ქალაქ თბილისის მშრომელები.

ქართველი ხალხის უდიდესი პოეტის საფლავი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს საბჭოთა მწერლებმა. აქ იყო ცოცხალი ყვავილების გვირგვინები საქართველოს საბჭოთა მწერლებისაგან და სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისაგან.

ხალხის საყვარელი პოეტის საფლავის შემკობა გვირგვინებით გადაღებულ იქნა კინოაფსკზე.

აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

ორშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრში შესდგება აკაკი წერეთლის გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პ. ინგოროყვა. სიტყვებით გამოვლენ: ლ. ასათიანი, შ. დადიანი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, გ. ნადირაძე, გ. ნატროშვილი, გ. ქიქოძე, გ. ჯიბლაძე.

აკაკისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვლენ: გ. ტაბიძე, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, ს. ფაშალიშვილი, ვ. გორგაძე, ს. ეული, ხ. ვარდოშვილი, გ. ლეონიძე, ა. შატბერაშვილი, გ. ქუჩიშვილი.

აკაკის ლექსებს წაიკითხავენ: თ. ბაქრაძე, აკ. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, პ. კობახიძე, შ. ღამბაშიძე, მ. ჩახავა.

აკაკის ტექსტზე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს შეასრულებენ გ. გოგიჩაძე, ს. ინაშვილი, მ. ნაკაშიძე, მ. ყვარელაშვილი, ქ. ჯაფარიძე, ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის მეჩონგურეთა ჯგუფი, ძმები იმხნელები, ანა ვარდიაშვილი მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით. როიალთან ტ. გლეზერი.

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

საერთაშორისო მიმოხილვა

წითელ არმიას 100 კილომეტრზე ნაკლები მანძილი აშორებს ბერლინს. იმ დღეებში, როცა საბჭოთა ქვეყანა სტალინგრადთან სახელოვანი ბრძოლის ორი წლისთავს აღნიშნავს, ჩვენი არმიები ოდერის ნაპირებს მიადგნენ. დღევანდელი გამარჯვებანი მომზადებულია საბჭოთა ხალხის გიგანტური სამხედრო ღონისძიებებით ომის განვლილ წლებში. გზა ვოლგიდან ოდერამდე, ძლევამოსილი სტალინური შეტევის ეს დიადი გზა, მოფენილია მილიონობით გერმანელი ჯარისკაცის ძვლებით, „ვეფხვების", „ავაზების", „ფერდინანდების" ნამსხვრევებით. ტყუილად კი არ არის, რომ გერმანიის თავგზააბნეული გენერალური შტაბი ამჟამად გაფაციცებით ეძებს მისთვის უკიდურესად საჭირო რეზერვებს. ძრწოლით ატანილ გერმანიას სრული საფუძვლით შეუძლია მიახალოს ჰიტლერს ის სიტყვები, რომლითაც ძველი დროის ერთმა მბრძანებელმა მიმართა თავის დამარცხებულ სარდალს: „დამიბრუნე ჩემი ლეგიონები!".

უცხოელმა მიმომხილველებმა მთელი ლექსიკონი გადაქექეს 1945 წლის ჩვენი შეტევის სინონიმთა ძებნაში. ზოგი წარღვნას უწოდებს მას, ზოგი—ზვავს, ზოგი კიდევ — ქარიშხალს, რომელიც თავს დაატყდა გერმანიას; ლონდონის „დეილი მეილი" „ვულკანის ამოხეთქასაც" კი ადარებს მას.

ჰიტლერელთა სამხედრო სარდლობამ ახალ-ახალი ტერმინი შემოიღო აღმოსავლეთის ფრონტზე თავისი კატასტროფული მდგომარეობის აღსანიშნავად. „ელასტიკური თავდაცვა" შეიცვალა „მოხეტიალე ქვაბებით" და „იმპროვიზაციით". აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცებისადმი თავის მიმართვაში ჰიტლერული გენერალური შტაბის უფროსი გუდერიანი მოუწოდებს ჯარებს განაგრძონ „იმპროვიზება". მაგრამ დამარცხებული ჰიტლერელები „იმპროვიზებას" ამჯობინებენ უფრო ფეხებით.

აიხადა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი მოქმედების ფარდა. ჰიტლერელები სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას ეწევიან და ისწრაფვიან გადასდონ თავიანთი დაღუპვა, დრო მოიგონ ახალი მსოფლიო ომის მოსამზადებლად. მაგრამ მათი ბედი წინასწარ გადაწყვეტილია.

„ახლოვდება მეთორმეტე საათი,—სწერს გებელსი. — ირხევა ისტორიის საათის ისარი, რომელმაც არ იცის მიუახლოვდეს საფრთხის მომენტს თუ დაშორდეს მას. შორს არ არის ის მომენტი, როცა მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ერთი თუ მეორე მხრივ. ეს გადაწყვეტილება განსაზღვრავს — სიცოცხლე თუ სიკვდილი". გებელსი ცდილობს გავლენა მოახდინოს ურჩ საათის ისარზე, მან შეკაზმა მოქანცული ცხენი და კვლავ აშინებს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს „ბოლშევიკური საფრთხით". მაგრამ თუ ჰიტლერელებმა დღემდე ვერ მოახერხეს განხეთქილება შეეტანათ გაერთიანებულ ერთა რიგებში, მით უფრო ვერ მოახერხებენ ისინი ამას მოკავშირეთა საბოლოო გამარჯვების წინადღეს. ისტორიის საათის ისარმა ჩინებულად იცის თავისი საქმე და თავისი ულმობელი მოძრაობით მხოლოდ სიკვდილს უქადის ჰიტლერელებს!

ამ ვითარებაში უცხოეთის პრესა კვლავ და კვლავ უბრუნდება დასავლეთის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან მყოფი ინგლისელი და ამერიკელი კორესპონდენტები ყოველდღე იუწყებიან, რომ გერმანელებს მრავალრიცხოვანი დივიზიები გადმოჰყავთ დასავლეთიდან აღმოსავლეთში. დასავლეთის ფრონტიდან მოხსნილია აგრეთვე გერმანიის ავიაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, არის იმის ნიშნები, რომ გერმანიის ძირითადი ძალები უკან იხევენ ზიგფრიდის ხაზიდან, სადაც ისინი მხოლოდ არიერგარდებს სტოვებენ. როგორც ჩანს, გუდერიანმა მოახდინა ფილაჯო გეგმის „იმპროვიზება": გადმოიყვანოს დასავლეთიდან ყველაფერი, რაც შესაძლებელია, ბერლინის დასაფარავად. ინგლისური და ამერიკული პრესის ავტორიტეტული ორგანოები მოუწოდებენ მოკავშირეთა სარდლობას ჩაშალოს ჰიტლერელთა ეს გეგმა. ლონდონის „ტაიმსი" აცხადებს: „მოკავშირეთა ინტერესებს შეადგენს ჩაშალონ გერმანელებს მარტო ერთ ფრონტზე ამ კრიზისული ბრძოლის წარმოების გეგმა. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" აზრით, „ახლა საჭიროა სისწრაფე" დასავლეთის ფრონტზე მოქმედებაში.

ამავე დროს ლონდონის „დეილი ჰერალდი" ვრცლად მსჯელობს ზიგფრიდის ხაზის გარღვევის სიძნელეებზე და იმაზე, რომ ამ გარღვევამ „შეიძლება დაგვაკარგვინოს დრო". მაგრამ დრო არ იცდის. იგი გადამწყვეტ და სწრაფ მოქმედებას მოითხოვს.

თავზარდაცემული ჰიტლერელები გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგიდან" მკითხაობენ: „უახლოეს დღეებში გადაწყდება, საყელო გვექნება კისერზე თუ თოკი". როგორც ცნობილია, გერმანიის ქალაქი კელნი გაცილებით უფრო ახლოა დასავლეთის ფრონტთან, ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტთან. ამიტომ ჰიტლერული გაზეთის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენი მოკავშირეებისათვის მიგვინდვია.

* * *

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ერთხმოვნად გადაწყვიტა იცნოს პოლონეთის დროებითი მთავრობა ვარშავაში და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს მასთან. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ დემოკრატიული პოლონეთი, რომელიც წითელი არმიისა და პოლონეთის ჯარის მამაცმა მეომრებმა გაათავისუფლეს გერმანიის უღლისაგან, ის ძალაა, რომელიც მოწოდებულია სულ უფრო და უფრო მზარდი როლი შეასრულოს ევროპაში. ახლა პოლონეთის დროებითი მთავრობა იცნო მისმა ორივე მეზობელმა აღმოსავლეთსა და სამხრეთში—საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილება, უეჭველია, განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას ორ მეზობელ და მონათესავე სლავ ხალხს შორის. პოლონეთის დროებითმა მთავრობამ ჯერ კიდევ საპროგრამო დეკლარაციაში განაცხადა, რომ პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობა საუკეთესოდ განვითარდება, ვინაიდან ორივე ქვეყანა გაერთიანებულია გერმანული აგრესიისაგან დაცვის საერთო ინტერესებით.

გერმანელი ოკუპანტებისაგან გაწმენდილია პოლონეთის თითქმის მთელი ძველთაძველი სამფლობელოები აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიიდან ოდერის მომიჯნავე მიწებამდე. ფაშისტური ტყვეობის მრავალი წლის შემდეგ მრავალტანჯულ პოლონეთს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განთიადი ამოუბრწყინდა.

არციშევსკი და კომპანია დასტირიან პოლონეთის განთავისუფლებას. არციშევსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთს „ჯერ კიდევ არ შეუძლია იდღესასწაულოს განთავისუფლება", ხოლო მისი დამქაშების ორგანო რომში „ოჟელ ბიალი" სწერს: „გულისტკივილით ვტყობილობთ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალზე რუსეთ-გერმანიის ბრძოლის მიმდინარეობის ამბავს". განა საგულისხმო არ არის, რომ პოლონეთის განთავისუფლების ამბავი გულს უწუხებს ჰიტლერსაც და არციშევსკისაც?

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ინგლისის პარლამენტშიც გაისმის დემოკრატიული პოლონეთისადმი მტრული ხმები. პარლამენტის ტრიბუნიდან ლეიბორისტმა სტოქსმა გაიმეორა პოლონელი ხალხის მტერთა მონაჭორი. იგი ილაშქრებს პოლონეთისათვის ძველთაძველი პოლონური მიწა-წყლის დაბრუნების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრები მოწესრიგდეს თანხმობისა და ურთიერთსარგებლობის სულისკვეთებით, იმის წინააღმდეგ, რომ პოლონეთს ზღვაში გასასვლელი მიეცეს. ლეიბორისტმა სტრაუსმა მხარი დაუჭირა სტოქსის ამ დემაგოგიურ გამოსვლას.

ამასთან ერთად სტოქსმა გაიმეორა საბჭოთა კავშირის მტრების ინსინუაციები საბჭოთა ბალტიისპირეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ ასეთ მასალებს ინგლისში ავრცელებენ ბალტიისპირეთის ფაშისტური ხროვის ნამსხვრევები, რომლებიც ბალტიისპირეთიდან გააძევეს მისმა ხალხებმა, მაგრამ რომლებმაც თავშესაფარი და მფარველობა ჰპოვეს ლონდონში. თუმცა ინგლისის პარლამენტში საძრახისად მიაჩნიათ გებელსის ნაყალბევის გამოყენება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბალტიისპირელი მისი აგენტურის ნაყალბევზე ეს წესი არა ვრცელდება.

ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ ვისთვის არის ხელსაყრელი ასეთი დემაგოგიური გამოსვლები. სტოქსს სურს შეჰკვეცოს პოლონეთი, გახადოს იგი ეკონომიურად უძლური და სიცოცხლის უნარს მოკლებული. მას სურს კვლავ დაადგას ფაშისტური უღელი ბალტიისპირეთის ხალხებს. მაგრამ არ გამოუვიდა ჰიტლერს, არ გამოუვათ არც იმათ, ვინც ცდილობს ბანი უთხრას მას.

დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლონეთი კვლავ განვითარდება და განმტკიცდება არციშევსკების გამცემლობისა და მათი ადვოკატების ჯავრის მიუხედავად.

* * *

ინგლისურმა გაზეთმა „მანჩესტერ გარდიანმა" ფრიად დროულად მოიგონა ფრანკოს, ჰიტლერის ამ ესპანელი გაულაიტერის მიერ სამი წლის წინათ, 1942 წლის თებერვალში წარმოთქმული სიტყვა. ფრანკომ გერმანიას „ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის ბასტიონი" უწოდა და რქვა მაშინ: „ისეთი საშიში მომენტი რომ შეიქმნას, როცა გზა ბერლინისაკენ გახსნილი იქნება, მაშინ ესპანელ მოხალისეთა არა ერთი დივიზია, არამედ მილიონი ესპანელი გამოვა დასაცავად".

უფლება გვაქვს ვიკითხოთ: სად არის ახლა ეს „მილიონი ესპანელი"? ბერლინისაკენ ძლევამოსილი ლაშქრობის დროს მარშალ ჟუკოვის ჯარებს ეს მილიონი როგორღაც არ შეხვედრიათ!

იყო დრო, როცა ესპანეთის „ლურჯი დივიზია" საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა ვოლხოვის ნაპირებზე და ლენინგრადთან. მთელი ომის მანძილზე ფრანკო ტყავში ძვრებოდა და ეხმარებოდა ჰიტლერს: მან მთელი ესპანეთი გერმანული სამხედრო მანქანის სამსახურში ჩააყენა. ფრანკო თავისი თავის ერთგული დარჩა ახლაც, ომის დღეებში, როცა ჰიტლერული გერმანია სიკვდილის აგონიაშია. იგი ცდილობს პირენეის ნახევარკუნძული გადააქციოს ნაკრძალად ომის ფაშისტ დამნაშავეთათვის, ახალი სამხედრო ავანტიურების მოსამზადებელ პლაცდარმად. და თუ ფრანკომ ბერლინის დასაცავად არ გაგზავნა თავისი „მილიონი ესპანელი", ეს იმიტომ მოხდა, რომ მას ამის წელი აღარა აქვს.

ესპანელ ჰიტლერელთა ოქროს ხანა საუკუნოდ ჩაბარდა წარსულს. წითელი არმიისა და ინგლის-ამერიკის ჯარების დარტყმებმა ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთში შეარყიეს ფრანკოს ხელისუფლება მადრიდში. ესპანეთში ხალხის რისხვა ბობოქრობს ჰიტლერის საზიზღარ აგენტთა წინააღმდეგ; ხდება ესპანელი ხალხის ძალების კონსოლიდაცია, ფართოვდება მამაც პარტიზანთა მოქმედება. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო გაბედულად უჭერს მხარს მკაცრ ღონისძიებებს ესპანური ფაშიზმის წინააღმდეგ. გაულაიტერ ფრანკოს შეუძლია გაიმეოროს ცნობილი დრამის სიტყვები: „გათავდა სიხარულის დღეები არანხუესში!"

რა გასაკვირია, რომ ესპანელმა ჰიტლერელებმა დიდი ხანია დაივიწყეს თავიანთი მკვეხარა დაპირება — ბერლინის დასაცავად მილიონი ესპანელის გაგზავნის შესახებ. უფრო მეტიც: ეძებენ რა ახალ ვითარებას, ფრანკისტები ცდილობენ სასწრაფოდ იცვალონ ფერი. მადრიდში ხდება ცდები ფაშისტური დიქტატურის შენიღბვისა. საგარეო საქმეთა ფრანკისტმა მინისტრმა ლეკერიკამ განაცხადა, რომ ესპანეთის მიერ ანტიკომინტერნული პაქტის ხელმოწერა „მხოლოდ დაემთხვა მრავალ ერთა აზრს" და რომ ესპანეთის საგარეო პოლიტიკა „სრულიად გამოყოფილია" მისი საშინაო პოლიტიკისაგან.

ფრანკისტი შარლატანები ცდილობენ ტყავი გამოიცვალონ. ამას ისინი ვერ მოახერხებენ: ჰიტლერული შავი ჭირისაგან გაწმენდილ ევროპაში ადგილი არ ექნება არც აშკარა, არც შენიღბულ ფაშისტურ რეჟიმებს.

მიმომხილველი

„პრავდა" 4/II.

გერმანელი ოკუპანტები ძარცვავენ ხორვატიის დედაქალაქს

ბელგრადი, 7 თებერვალი. (საკდესი). რადიოსადგური „სლობოდნა იუგოსლავია" იუწყება, რომ გერმანელების მიერ ოკუპირებულ დედაქალაქ ზაგრებში გამეფებულია შიმშილი. გერმანელმა ოკუპანტებმა, რომლებსაც სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები ავიწროებენ, ზაგრებიდან გაზიდეს მთელი სურსათი. სასურსათო მაღაზიები დახურულია. სურსათის ყიდვა მხოლოდ ბაზარში შეიძლება ზღაპრულ ფასებში. საკვებ პროდუქტებს გარდა, გერმანელებს ზაგრებიდან გააქვთ საწყობებში დარჩენილი ფერადი ლითონები. მარტო ამ უკანასკნელ დღეებში გაიგზავნა გერმანიაში 40 ვაგონი თუთია და სპილენძი.

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ შმიდტის რაიონში მოკავშირეებმა უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მტრის 159 ძელმიწური საცეცხლე წერტი დაიკავეს. შლაიდენის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა ქუჩებში გამართული რამდენიმე დღის ბრძოლების შემდეგ დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და ჰელენტალიდან განდევნეს იგი. პრიუმის რაიონში მოკავშირეთა ქვეითმა ჯარმა ვაშაიდს მიაღწია. მონტჯაიმი, პოლნიკი და ზელერიხი მოკავშირეთა ხელშია.

მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე პუნქტში ბრძოლებით იწყეს გასვლა მდინარეებს ურისა და სიურში. რემიხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეებმა ზინცი დაიკავეს.

საარგემიუნდის (ლოტარინგია) აღმოსავლეთით მოგერიებულია მტრის ქვეითი ჯარის იერიში. მოკავშირეთა ჯარებმა რეიდი მოაწყვეს ბიშოლცში (გარდტის მთების აღმოსავლეთით).

ქვემო ელზასის ეაკეში მოკავშირეთა ჯარებმა მთელი რიგი სოფლები გაათავისუფლეს. რაინ-რონის არხის დასავლეთი ნაპირი მთლიანად გაწმენდილია მტრისაგან. ვოგეზის მთებში გატეხილია მტრის ორგანიზებული წინააღმდეგობა, გრძელდებოდა მტრის იზოლირებული ჯგუფების ლიკვიდაცია. 5 თებერვალს მოკავშირეთა ჯარებმა დასავლეთის ფრონტზე 2.905 ტყვე წამოიყვანეს.

მძიმე ბომბდამშენებმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით დაბომბეს მტრის მთელი რიგი ობიექტები დასავლეთ გერმანიაში.

მარშალმა ტიტომ უარჰყო მეფე პეტრეს მიერ წამოყენებული რეგენტთა ორი კანდიდატურა

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: „მარშალმა ტიტომ უარჰყო ორი კანდიდატურა მეფე პეტრეს მიერ იუგოსლავიის სარეგენტო საბჭოს შემადგენლობაში შესაყვანად წამოყენებული სამი კანდიდატურიდან, რომლებსაც პეტრემ უნდა გადასცეს თავისი სამეფო რწმუნებანი. ამის შედეგად გადაიდო ახალი მთავრობის შექმნა ბელგრადში. გენერალ სიმოვიჩისა და დ-რ შუტეის წინააღმდეგ ტიტოს მოსაზრებანი გუშინ გადაეცა მეფეს პრემიერ-მინისტრ შუბაშიჩის საშუალებით. მეფე პეტრეს ყველა კანდიდატურიდან ტიტოს მისაღებად მიაჩნია მხოლოდ დუშან სერნეცი. სერნეცი, სლოვენიის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც ამჟამად იუგოსლავიაში იმყოფება, აგრეთვე მოხსენიებული იყო რეგენტთა იმ სიაში, რაც გათვალისწინებულია იმ შეთანხმებით, რომლითაც მეფის მთავრობა უნდა შეუერთდეს ტიტოს ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს, რათა შეიქმნას ახალი მთავრობა ბელგრადში. მეფე პეტრემ უარჰყო შუბაშიჩსა და ტიტოს შორის დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული ორი სხვა კანდიდატურა. ეს კანდიდატურებია — ალექსანდრე ბელიჩი და დ-რი ანტონ მანდიჩი.

იმ დროს, როდესაც ტიტოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლონდონში დღეს გამოსთქვა რწმენა, რომ საკითხი სწრაფად გადაწყდება და იუგოსლავიის საქმეებში ახალ კრიზისს არ გამოიწვევს, ცნობილი გახდა, რომ მეფემ გადასწყვიტა კვლავ მოითხოვოს თავისი კანდიდატურების გაყვანა ან დათანხმდეს კომპრომისს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულ იქნება მისი ინტერესები. დ-რ შუბაშიჩის მთავრობის გამგზავრება ბელგრადში, რაც ამ კვირაში იყო გათვალისწინებული, ბრკოლდება უკანასკნელი ამბების გამო.

თუმცა დ-რმა ივანე შუბაშიჩმა მეფეს გასულ კვირას განუცხადა, რომ მეფის უნებართვოდ იგი ლონდონიდან არ წავა, მაგრამ შესაძლოა, რომ იგი და კაბინეტი მაინც გაემგზავრებიან ბელგრადს ისევე, როგორც ისინი საამისოდ მზად იყვნენ მეფე პეტრესა და შუბაშიჩს შორის შეთანხმებამდე, რის შესახებაც 29 იანვარს იყო გამოცხადებული.

იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს ღონისძიებანი

ბელგრადი, 5 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ბრალმდებლის (სახელმწიფო პროკურორის) თანამდებობის დაწესების შესახებ. მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები ზუსტად ასრულებდნენ არსებულ კანონებს. საზოგადოებრივ ბრალმდებლად დანიშნულია დოქტორი იოქილოვანი. იმავე დადგენილებით შემოღებულია ფედერალური პროკურორების დანიშვნის წესი. მათ ნიშნავს იუგოსლავიის საზოგადოებრივი ბრალმდებელი ადგილობრივი ანტიფაშისტური ვეჩეების წარდგენით.

იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა გამოიტანა აგრეთვე გადაწყვეტილება დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის უმაღლესი სასამართლოს შექმნის შესახებ. სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნულია ჟივკო იოვანოვიჩი (ნიშიდან).

იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა გააუქმა გერმანელი ოკუპანტებისა და მათი ხელშემწყობების მიერ ოკუპაციის დროს დაწესებული ყველა კანონი და დადგენილება, აგრეთვე იუგოსლავიის ოკუპაციის მომენტში არსებული კანონები. პრეზიდიუმმა დაამტკიცა იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს საკანონმდებლო კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიან: დოქტორი რადე პრიბიჩევიჩი, მოშა პიადე, დოქტორი ლეონტიჩი, მილოვან ჯილასი, იოსიპ რუსა, მეთოდე ანტონოვი — ჩენტო და როდოლიუბ გოლუბოვიჩი.

ამერიკის 1.650 თვითმფრინავის თავდასხმა ცენტრალურ გერმანიაზე

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთში მყოფ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბმა ცნობა გამოსცა, რომ 6 თებერვალს ამერიკის 1.300-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი თავს დაესხა სამრეწველო და სატრანსპორტო ობიექტებს ცენტრალურ გერმანიაში, უმთავრესად მაგდებურგის, ლაიფციგისა და ხემნიცის რაიონებში. ბომბდამშენებს თან ახლდა 350 ავიაგამანადგურებელი.

დეზერტირობა გერმანიის არმიაში

სტოკჰოლმი, 7 თებერვალი. (საკდესი). შვედურ გაზეთ „ექსპრესენის" ცნობით, „აღმოსავლეთ პრუსიიდან და პომერანიიდან ლტოლვილები ლაპარაკობენ, რომ გერმანელი ჯარისკაცები დადიან ევაკუირებული მოსახლეობის სახლებში და სამოქალაქო ტანსაცმელს ეძებენ. ასეთ ტანსაცმელს რომ იპოვნიან, გადაიცვამენ ხოლმე მას, სპობენ თავიანთ დოკუმენტებს და მიდიან დასავლეთისაკენ ლტოლვილებთან ერთად. ასეთი დეზერტირების რაოდენობა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გადიდდა".

შეშფოთება ჰიტლერელ მეთაურთა შორის

სტოკჰოლმი, 7 თებერვალი. (საკდესი). გერმანიიდან აქ მიღებული ცნობებით, წითელი არმიის სწრაფმა შეტევამ უდიდესი შეშფოთება გამოიწვია სხვადასხვა რანგის ჰიტლერელ მეთაურთა შორის პოლონეთში და გერმანიის აღმოსავლეთ ოლქებში. ჰიტლერელმა ხელისუფლებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს, რომ ეს მეთაურები პანიკური გაქცევისაგან შეეჩერებინათ. მაგალითად, ჰიტლერული სააგენტოს—გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ჰიმლერმა „სამხედრო სასამართლოს გადასცა საქმე მთელი რიგი უპატიოსნო მოხელეებისა, რომლებმაც განსაცდელის ახლო დღეებში" ლაჩრობა გამოიჩინეს. სააგენტოს ცნობით, სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ბიდგოშჩის (ბრომბერგის) გერმანული პოლიციის ყოფილ უფროსს შტანდარტენფიურერ ფონ ზალიშს. ზალიში დახვრიტეს. გარდა ამისა, თანამდებობიდან მოხსნეს, ხარისხი აჰყარეს და საჯარიმო ბატალიონში გაგზავნეს ბიდგოშჩის საოლქო სამმართველოს ყოფილი ჰიტლერელი უფროსი კიუნი, ქალაქის ყოფილი ბურგომისტრი ერნსტი და ჰიტლერული პარტიის ბიდგოშჩის ორგანიზაციის ლიდერი რამპფი.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 6 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, სანტოსმა, ეამის იმ დელეგაციის ხელმძღვანელმა, რომელიც საბერძნეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობს, თათბირზე განაცხადა, რომ იმ პირებს, რომელნიც ელასს ბრალს სდებენ დანაშაულობებში, ავიწყდებათ, რომ დანაშაულობანი ჩაიდინეს მათ, ვინც საბერძნეთის თვით განთავისუფლებამდე აწამებდა ხალხს ჰიტლერის სახელით. დაბეზღებას, დაპატიმრებასა და დევნას ხალხის თავისუფლებათა აღდგენისადმი მისწრაფების საწინააღმდეგო შედეგები მოჰყვება. სანტოსმა აღნიშნა, რომ მძევლების საკითხი გადაწყვეტილია მათი განთავისუფლების შესახებ ელასის ბრძანების შედეგად. შეეხო რა ელასის არმიის განიარაღების საკითხს, ეამის ლიდერმა სთქვა, რომ ახალი ნაციონალური არმია შექმნილ უნდა იქნას ჩვეულებრივი გაწვევის გზით და უნდა შესდგებოდეს გასაწვევი ასაკების პირთა ისეთი რაოდენობისაგან, რა რაოდენობის გაწვევასაც მთავრობა საჭიროდ ჩასთვლის. „არ უნდა იყოს, — სთქვა სანტოსმა, — არავითარი მოხალისენი გარდა გასაწვევი ასაკებისა. თადარიგის ოფიცრები და ელასის გასაწვევი ასაკების ჯარისკაცები შეყვანილ უნდა იქნან არმიაში ჩვეულებრივი წესით". ახალი არმია თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური ან პარტიული გავლენისაგან. სანტოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა გატარდეს სახელმწიფო ადმინისტრაციის, მათ შორის პოლიციისა და ჟანდარმერიის წმენდა „კოლაბორაციონისტებისა (ე. ი. იმ პირებისაგან, რომლებიც გერმანელებს ეხმარებოდნენ) და ფაშისტური ელემენტებისაგან".

სანტოსმა ითხოვა, რომ პლებისციტი ჩატარებულ იქნას რაც შეიძლება მალე და რომ თარიღი დადგენილ იქნას ახლავე.

კვისლინგელთა პოლიციის ძალადობა და უწესოებანი

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ნორვეგიის რკინიგზის ტრანსპორტზე ნორვეგიელ პატრიოტთა დივერსიული საქმიანობის გაძლიერებასთან დაკავშირებით კვისლინგელი ხელისუფალნი უკანასკნელ ხანს აწარმოებენ საყოველთაო ჩხრეკა-დაპატიმრებას, რასაც თან ერთვის სისხლისმღვრელი მათი ძალადობა და უწესოებანი. მაგალითად, ვეგეში კვისლინგელი პოლიციელები სახლებში იჭრებოდნენ და მცხოვრებლებს ჰკლავდნენ. ერთ სახლში მოკლულ იქნა მოხუცი ქალი, მეორე სახლში კვისლინგელმა ბანდიტებმა კარიდან ნასროლი ტყვიებით მოჰკლეს სახლის პატრონის ვაჟი.

პიერლოს კაბინეტის გადადგომა

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბრიუსელელი კორესპონდენტი იუწყება, ბელგიის პრემიერ-მინისტრმა პიერლომ დღეს დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს წავიდეს პრინც-რეგენტთან, რათა გადასცეს მას კაბინეტის გადადგომა. პიერლომ განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა აღარ სარგებლობს პალატის მხარდაჭერითო.

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ ბელგიის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა სოციალისტური პარტიის წევრს ვან აკერს, რომელიც პიერლოს გადამდგარი მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა როგორც შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი. სპააკი რჩება საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტახანოველი მქსოველები ნ. ზარქუა (მარცხნივ) და ა. გარასკინა სამუშაოზე.

ფოტო ელ. გინზბურგისა

დაიწყო სამომხმარებლო კოოპერაციის სამმართველო და საკონტროლო ორგანოების არჩევნები

(რესპუბლიკური თათბირი ცეკავშირში)

საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან დაიწყო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სამმართველო და საკონტროლო ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. ამასთან დაკავშირებით ცეკავშირის პრეზიდიუმმა რამდენიმე დღის წინათ თბილისში მოიწვია ავტონომიურ რესპუბლიკათა ვაჭრობის სახალხო კომისარიატთა წარმომადგენლების, რაიაღმასკომების სავაჭრო განყოფილებათა გამგეების, საოლქო და რაიონულ კოოპერატიულ კავშირთა თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი. თათბირმა მოისმინა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ნარსიას მოხსენება სამმართველო და საკონტროლო ორგანოების არჩევნების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია სამამულო ომის პერიოდში წარმატებით ასრულებს სავაჭრო-საწარმოო დავალებებს. 1944 წლის საქონლის საცალო ბრუნვის გეგმა შესრულებულია 107,7 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების გეგმა — 114,8 პროცენტით. წარმატებით შესრულდა აგრეთვე ციტრუსების დამზადების გეგმა. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 145,6 პროცენტით.

ამ მიღწევებთან ერთად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფლად მომუშავე მასწავლებლების, ექიმების, სპეციალისტების სამრეწველო საქონლით და პროდუქტებით მომარაგება, სოფლის ქსელში ადგილი აქვს სპეკულაციის შემთხვევებს, ვხვდებით სამრეწველო საქონლის არადანიშნულებისამებრ გაცემის ფაქტებსაც. მაგალითად, კასპის რაიკოოპკავშირში (თავმჯდომარე ამხ. ვარდოევი) საქონლის ნაწილი იცემოდა არა სოფლის კოოპერატივების საშუალებით, არამედ რაიონის ცენტრიდან — რაიმაღაზიიდან, რაც ხელს უწყობდა მიზნობრივი ფონდის განიავებას. არა დაწესებული ნორმებით ხდებოდა მასწავლებლებისათვის საქონლის მიყიდვა კასპის, სოფელ ნიქოზის, კოდისწყაროს, ლაზის-ყანის სასოფლო კოოპერატივებში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, — სთქვა მომხსენებელმა, — ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულებრივი დამახინჯების აღმოფხვრის საქმეს. საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი, რათა საქონელი დანიშნულებისამებრ ნაწილდებოდეს. არჩევნების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას სამომხმარებლო კოოპერაციაში სამუშაოდ სოფლის საუკეთესო ადამიანების, სტახანოველების, ქალების, ძირეული კოოპერატიული ორგანიზაციების და წამოწყებების ისეთი მუშაკების მიზიდვა, რომლებიც უკეთ ემსახურებიან ხალხს, გაამართლებენ მოსახლეობის ნდობას.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კიკაბიძემ (გორი), სტამბულმა (ბოლნისი), კუტალაძემ (ჩოხატაური) და შულმანმა (ცეკავშირი).

სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციის სამმართველო და საკონტროლო ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ჯეროვნად ჩატარებისათვის თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

75.000 მანეთი პრემიად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს

საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ცომაკურიძის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია დეპეშა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟიურიმ შეაჯამა საფინანსო ორგანოების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის მეოთხე კვარტალის შედეგები. ჟიურის გადაწყვეტილებით, საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელმაც წარმატებით შეასრულა 1944 წლის მეოთხე კვარტალის საფინანსო გეგმები, აღიარებულ იქნა საფინანსო ორგანოების სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეკუთვნა მეორე საკავშირო პრემია 75.000 მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლექტივს ულოცავენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას და მოუწოდებენ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

კონსულტაცია

9 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **გორგილაძის** კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„ისტორიული მნიშვნელობა ლ. პ. ბერიას წიგნისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".**

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებიც ყურადღებით მოეპყრნენ ჩვენს ოჯახს იმ უბედურებასთან დაკავშირებით, რაც მას თავს დაატყდა კონსტანტინე მაქსიმეს-ძე რუხაძის გარდაცვალებით.

ევგენია რუხაძე

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 9/II „ჰოფმანის ზღაპრები", 10/II — „გედების ტბა". (პრემიერა) **რუსთაველის სახელობის** — 9/II — „სამშობლო", 10/II — „უდანაშაულოდ დამნაშავენი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 9/II — „მარგარიტა გოტიე", 10/II — „პირველი ცოლის მორჯულება". **გრიბოედოვის სახელობის** — 9/II — „საბიფათო ასაკი", 10/II — „ფლოტის ოფიცერი". **ხომხური** — 9/II — „შემოსავლიანი ადგილი", 10/II — „ქაოსი". **ახუნდოვის სახელობის** — 9/II — „კებლა ბაჯი", 10/II — „საგანგებო კანონი". **მუსიკალური კომედიის** — 9/II — „არშინ-მალ-ალან", 10/II — „მზის დაბნელება". **სახ. კულტურის**—10/II—„გაგრძელება იქნება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

მეუღლე ანეტა, შვილი შალვა, რძალი მარები, შვილიშვილი მანანა იუწყებიან **გიორგი ჩხიკვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/II, 7 ს. გამოსვენება 11/II, 2 ს. ყვირილის, 2.

რკინიგზის საავადმყოფოს ნერვიულ სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე მირიანაშვილის** გარდაცვალებას.

ჟურნალ „ნიანგის" რედაქციის მუშაკები იუწყებიან „ნიანგის" ძველი აქტიური თანამშრომლის, ნიჭიერი იუმორისტის **ისაკი ხინველის** გარდაცვალებას.

მშობლები ნინო, გარსევან, ბებია მარინე, ბიძა აფთონი, ბიცოლა ქეთია, მამიდა ქსენია ორჯონიკიძე იუწყებიან **ლადუშა ანთიძის** გარდაცვალებას.

ლევან და კატო შვილებით: საშა, გრიშა, ზინა კობახიძეები, რძლით ვერიკოთი იუწყებიან კატო სოხაძის მამის **გიორგის** გარდაცვალებას.

დედა ელენე, მეუღლე მიხეილ ჩხეიძე შვილებით იუწყებიან, რომ 11/II, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსანდრა კარეტინა-ჩხეიძის** პანაშვიდი.

მეუღლე ანა, შვილები მერი, თენგიზი იუწყებიან **ონისიმე იოსების-ძე აფრიდონიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/II, 7 ს. გამოსვენება 11/II, 2 ს. პასტერის, 10.

თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ მიხეილ ცინაძის მამის **ნარიმანის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე, და ნინო ინგოროყვა, ძმა კონსტანტინე, რძალი ელენე, დისწული თინა და გიორგი ბებიაშვილი შვილებით იუწყებიან, რომ 11/II, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **მიხეილ ლორთქიფანიძის** პანაშვიდი.

შვილი ოლია, სიძე შალვა, შვილიშვილი მედეა ჩხენკელები იუწყებიან **ფილიპე ალექსის-ძე ეფრემიძის** გარდაცვალებას.

ქ. თბილისის მეორე რაიონის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ქსენია წერწუმიას შვილის **გულნარას** გარდაცვალებას.

ნინო და ილო გომელაურები შვილებით მერიკოთი და გივით, გოგი და ეთერი ბოლდაშვილები შვილებით იუწყებიან **სალომე გელბახიანის** გარდაცვალებას.

აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია ოჯახით, ფაჩა შვილით თათიათი იუწყებიან დის **მატო გამსახურდია-გაბუნიას** გარდაცვალებას.

ხელიძე, ბარკალაია, ფრანგულიანი, გურგენიშვილი, მინდაძე, კაციტაძე, ხუნდაძე, გერსამია, ცინცაბაძე, ჯავარშეიშვილი, ბაქრაძე, ხოშოლავა, ქუთათელაძე იუწყებიან პეტრე გელბახიანის დედის **სალომეს** გარდაცვალებას.

დაკარგულია საქპურტრესტის № 86 პურის მაღაზიის მრგვალი ბეჭედი. ჩ. ვ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-68-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-88, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ტირაჟი 91.800
უე 00225